ნინო სინსაძე

დახუჩული და დაუხურავი საქმეები

ნინო ცინცაძე

დახურული
და
დაუხურავი
საქმეები

სადაგი დღის გმირობა

თორმეტიოდე წლის წინათ, როცა ვატიკანის რუსულ კოლეგიუმში ცხოვრება ამის საკმაო შესაძლებლობას მაძლევდა, განვიზრახე საკუთარი თვალით მენახა რომის პირველ ქრისტიან იმპერატორ კონსტანტინეს სიცოცხლეში შექმნილი და მის სახელთან დაკავშირებული არტეფაქტები.

მეცნიერებასთან ოდნავ შეხებაში მყოფთაგან, კარგა ხანია, აღარავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ამ მმართველის ეკლესიასთან ურთიერთობის შესახებ შემორჩენილი გაღმოცემებიდან უმრავლესობა ლეგენდარული ხასიათისა იყო. ჯერ კიდევ XVI საუკუნეში დაამტკიცა იტალიელმა ჰუმანისტმა ლორენცო ვალამ "კონსტანტინეს ძღვნად" ცნობილი დოკუმენტის სიყალბე – ამ დოკუმენტის თანახმად, იმპერატორმა რომის ეპისკოპოსს, წმ. სილვესტრს უვადო მფლობელობაში გადასცა საკმაოდ მოზრდილი ტერიტორია, რაც მომავალში პაპთა საერო ძალაუფლების საფუძველი უნდა გამხდარიყო. ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასასრულს რუსეთის სასულიერო აკადემიებშიც კი ასწავლიდნენ, რომ კონსტანტინეს ცნობილი ხილვა, როცა მან, მაქსენციუსის წინააღმდეგ ამხედრებულმა, ცაზე ჯვარი იხილა და გაიგონა იდუმალი სიტყვები – „ამით სძლევ!" – მხოლოდ ეგზალტირებული მემატიანეების გვიანდელი მონათხრობია.

პირადმა დაკვირვებებმაც იგივე შედეგი მიჩვენა: კონსტანტინეს ბიოგრაფიასთან დაკავშირებულ არცერთ მატერიალურ საბუთზე არ აღმოჩნდა რაიმე ქრისტიანული სიმბოლო. მართალია, ამას უკვე ველოდი, მაგრამ საკუთარი თვალით ნანახს მართლაც არაფერი შეედრება.

სწორედ ამ სულისკვეთებით – დამოუკიდებელი აზროვნებითა და საღი უნდობლობითაა გამსჭვალული წინამდებარე წიგნიც...

თუმცა, სანამ უშუალოდ წიგნს შევეხებოდე, საჭიროდ მიმაჩნია, კიდევ ერთხელ დავუბრუნდე კონსტანტინე დიდსა და მის ეპოქას. მოგვიანებით დავრწმუნდი, რომ ისტორიას ცრუ მოწმეები არა ჰყავს და წარსულის სიღრმიდან ჩვენამდე მოღწეული ყოველი

ზღაპარი ისეთივე, ხშირად კი უფრო მეტადაც ძვირფასია, როგორც ყოველი უტყუარი ფაქტობრივი ცნობა. ზღაპრები ხშირად საოცარ სიმართლეს შეიცავს, მაგრამ მათი მნიშვნელობის გასაგებად ზოგჯერ მიმართულების შეცვლაა საჭირო. ეს კარგად იცოდნენ ძველმა ასტრონომებმა, რომლებიც ტელესკოპების გარეშე აკვირდებოდნენ ნაკლებად მოკაშკაშე ვარსკვლავებსა და ცდომილებს: ამ დროს პირდაპირ კი არ უნდა შეხედო სასურველ ობიექტს, არამედ მზერა ოდნავ უნდა ააცილო. ჩვენც ასე მოვიქცეთ.

ყოველთვის იდუმალებითაა მოცული ადამიანის რელიგიური მოქცევა, მისი შესვლა მორწმუნეთა თემში. რამდენიც არ უნდა ვეცადოთ, ამ მოვლენის ფსიქოლოგიური ახსნა ვერასოდეს იქნება საკმარისი, მის აღსაწერად აუცილებლად დაგვჭირდება თეოლოგიური, ასკეტიკური, მისტიკური ენის გამოყენება. მაგრამ სულ სხვაა სამღვდელო იერარქიისა და საერო ძალაუფლების, ეკლესიისა და სახელმწიფოს კავშირი. გავიხსენოთ კონსტანტინე დიდის შესახებ არსებული ორი ძირითადი თქმულება: ერთგან იმპერატორი პოლიტიკური ძალაუფლების აღთქმას იღებს, მეორეგან კი ეკლესია – ნივთიერ სიმდიდრეს. გავიდა დრო, და თუმცა პოლიტიკური წარმატება უკვე სამხედრო კი არა, საარჩევნო გამარჯვებით გამოიხატება, ნივთიერი სიმდიდრე კი მიწის ნაკვეთებზე უფრო ხშირად საგადასახადო შეღავათებს გულისხმობს, მაინც აშკარაა, რომ საუკუნეთა განმავლობაში ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ძირითადი მოდელი არსებითად არ შეცვლილა.

ესეც არაა მთავარი. გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამ ურთიერთობის აღსაწერად სულაც არაა საჭირო არც თეოლოგია, არც ასკეტიკა და არც მისტიკა – პოლიტიკის, სოციოლოგიის, იურისპრუდენციის ფარგლებიდან რომ არ გამოვიდეთ კიდეც, მაინც ყველაფერი მშვენივრად დადგება თავის ადგილზე.

ამიტომაც სიყალბეა იმაზე გაუთავებელი ლაპარაკი, რომ საეკლესიო თემატიკა ფაქიზია, რომ მას განსაკუთრებულად სათუთი მიდგომა სჭირდება. ეს მხოლოდ მაშინაა მართალი, როცა საქმე პიროვნებას ეხება, მაგრამ როცა განხილვის ობიექტი ეკლესია და

სახელმწიფოა, ან თუნდაც ეკლესია და საზოგადოება, ეს ყალბი ღვთისმოსაობით გამსჭვალული ფრაზეოლოგია მხოლოდ ბინძურ საქმეთა და სავალალო ცდომილებათა დასაფარავ უნიჭო ხრიკად წარმოჩნდება. განა მოქალაქეობრივი შეგნება, სინდისის დაუღუმებელი ხმა და ცნობის დაუძლეველი წყურვილი საკმარისი საფუძველი არაა იმისათვის, რომ ადამიანი ცხადად გაერკვეს საეკლესიო პოლიტიკაში, რომ თავისუფლად და დაუბრკოლებლად გამოთქვას თავისი აზრი ამ საკითხზე?

უეჭველია, რომ ამ წიგნში შეკრებილ ტექსტებს არა მარტო არსებობის უფლება აქვთ (რად ეღირებოდა ჩვენი მოქალაქეობა, მხოლოდ ეს რომ მოგვეთხოვა?!), არამედ ისინი ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საჭიროებას ეხმაურება – საჭიროებას, რომელსაც, შესაძლოა, ჩვენი საზოგადოება ჯერ ვერც აცნობიერებს. ნინო ცინცაძის სტატიები, თუ არ ჩავთვლით ჩემს პუბლიკაციებში ხანდახან გამოჩენილ ფრაგმენტულ მინიშნებებს, ეკლესიისა და სახელმწიფოს, ეკლესიისა და საზოგადოების თემაზე შექმნილი ანალიზური ჟურნალისტიკის პირველ მაგალითს წარმოადგენს ჩვენს სინამდვილეში. სამწუხაროა, რომ ეს პირველი მაგალითი დღემდე ინარჩუნებს ერთადერთობასაც.

შეიძლება შეგვექმნას მცდარი შთაბეჭდილება, თითქოს ასეთი წერილების შექმნა ძალიან ადვილი იყოს. მართლაც, ავტორი მხოლოდ ყოველი ადამიანისათვის აუცილებელი გრძნობებითა და განწყობებით ხელმძღვანელობს, მას უბრალოდ სურს ვითარებაში გარკვევა, მას უბრალოდ საკუთარი შვილების მომავალი ანაღვლებს, მას უბრალოდ სჯერა, რომ ზნეობრივ იდეებსა და პრინციპებს ჯერ კიდევ რაღაც მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში. მაგრამ ეს შთაბეჭდილება მცდარია არა იმიტომ, რომ ამ წიგნში მოცემული ყოველი ტექსტის უკან რაღაც ღრმა და ძნელი გამოკვლევა, ფიქრში გატარებული უძილო ღამეები ან რაიმე სერიოზული რისკი იმალება – სულაც არა. შთაბეჭდილება მცდარია იმიტომ, რომ ჩვენს საზოგადოებაში სწორედ რწმენაა ყველაზე მწავე დეფიციტი.

ესაა ჩვენი ცხოვრების თანმდევი პარადოქსი: რელიგიური თემატიკის ხელშეუხებლობას რწმენის ნაკლებობა იცავს. არ გვჯერა

გარშემო მყოფთა მნეობისა და ამიტომ ვეძიებთ მოძღვარს, როგორც უკანასკნელ ინსტანციას, არ გვჯერა ამ ქვეყნის მომავლისა და კერპად ქცეულ გამონაგონ წარსულს ვეთაყვანებით, არ გვჯერა ერისკაცთა სამართლიანობისა და თვალს ვხუჭავთ მღვდელთა უსამართლობაზე, არ გვჯერა ღვთისა და მასთან ვაჭრობას ვცდილობთ.

ამიტომაც იქმნება ვითარება, როცა ჩვეულებრივ სამუშაო დღეს, გაზეთის რედაქციის ჩოჩქოლით გარემოცულ და უკვე მოყირჭებული კომპიუტერის წინ მჯდომ ჩვეულებრივი ადამიანური და, უფრო მეტიც, ქალური ბრუნვით შეპყრობილ ჟურნალისტს შეუძლია შექმნას რაღაც, რასაც მე სრულიად გულწრფელად დავარქმევდი სამოქალაქო გმირობას.

ნოდარ ლადარია

შესავალი

გაზეთ „24 საათის" საზოგადოების განყოფილებაში მისი დაარსების დღიდან, 2002 წლის 1 ივნისიდან დავიწყე მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ, წესით, რელიგიური თემატიკა სწორედ საზოგადოების პრობლემებზე მომუშავე ჟურნალისტის საქმე უნდა ყოფილიყო, ჩემთვის ეს საკითხები საინტერესო 2004 წლის დასაწყისამდე არ გამხდარა.

გულახდილად რომ ვთქვა, ეს თემა მაშინ იმდენად იყო ტაბუირებული, რომ მისი არსებობა არც კი გამხსენებია, სანამ იგი მე, როგორც დედას, და არა როგორც ჟურნალისტს, პირადად არ შემეხო.

მართალია, ჩემს უფროს შვილს ბევრს ვაწუწუნებ ხოლმე, მაგრამ, სინამდვილეში ძალიან მიყვარს, როდესაც რამეს ვუკითხავ. ეს ჩვენი ურთიერთობის ყველაზე სასიამოვნო საათებია. ჩემი შვილის ასაკიდან გამომდინარე კი, ერთ-ერთი ის წიგნი, რომელსაც განსაკუთრებით სიამოვნებით ვკითხულობთ ხოლმე, „ჰარი პოტერია". ამ წიგნის პირველი ტომი ჩემმა ქმარმა ინგლისიდან ჯერ კიდევ მაშინ ჩამოიტანა, როდესაც ჩვენთან მისი სახელი თითქმის არავის ჰქონდა გაგონილი. მას შემდეგ სულ ველოდებოდი, როდის თარგმნიდნენ „პოტერს" ქართულად და მას ბავშვებთან ერთად როდის „ჩავუჯდებოდი". და როდესაც რამდენიმე წლის შემდეგ ეს დროც დადგა, უცებ აღმოვაჩინე, რომ შესაძლოა ჩემს შვილს სკოლაში ამ წიგნის წაკითხვა დაუშალონ, რომ შესაძლოა გამყიდველს ამ წიგნის გაყიდვისა შეეშინდეს... შემდეგ შემთხვევით „საპატრიარქოს უწყებანში" ერთი ქალბატონის წერილების სერიას გადავაწყდი, რომელიც ასე იყო დასათაურებული: „ჰარი პოტერი - ცოცხზე ამხედრებული ბიჭუნა, ანუ ჰოპლა ჯოჯოხეთში". მახსოვს, მაშინ შემეშინდა და გადავწყვიტე ამ ქალბატონს ვწვეოდი და მისგან პირადად გამეგო, ასეთს რას ერჩოდა ამ უწყინარ საბავშვო წიგნს. ასეც მოვიქეცი, მაგრამ იქიდან კიდევ უფრო შეშინებული დავბრუნდი და მივხვდი, რომ ეს ის თემაა, რომელიც უნდა გაინტერესებდეს, თუ არ გინდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს გაიღვიძო და აღმოაჩინო, რომ შენი შვილები უკვე ფუნდამენტალისტურ სახელმწიფოში

ცხოვრობენ.

შემდეგ გზადაგზა, როდესაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის თანამედროვე მდგომარეობით უფრო ახლოს დავინტერესდი, ჩემთვის ერთი კურიოზული მოვლენა გავაცნობიერე. დაახლოებით ბოლო ათი წელია, ხან ვისგან და ხან ვისგან სულ მესმოდა ხოლმე, რომ არსებობენ ვიღაც ეკუმენისტები, რომლებიც ყველა რელიგიის გაერთიანებას და ეკლესიების მოსპობას ისახავენ მიზნად. მაგრამ რადგან ეს ინფორმაცია ჩემთვის არანაირად აქტუალური არ იყო, ჩემი ტვინი მას ან აისხლეტდა, ან გადაუმუშავებლად სადღაც ბნელ კუნჭულში ინახავდა ხოლმე. ამასობაში მეგობარმა მითხრა, რომ არსებობს გერმანული ფონდი (გერმანიის ევანგელური ეკლესია), რომელიც სტუდენტებს სასწავლო სტიპენდიით აფინანსებს; თანაც მითხრა, რომ, რახან საეკლესიო ფონდი იყო, დაფინანსების მიღების უფრო მეტი შანსი მექნებოდა, თუ ჩემი თემატიკა რაღაცნაირად ეკლესიას დაუკავშირდებოდა. მეც უყოყმანოდ დავუკავშირე ჩემი თემა „ოდისეას" გვიანანტიკურ და ადრექრისტიანულ კომენტარებს. EKD-მ ერთწლიანი სტიპენდია მომცა და მხოლოდ ერთი რამ მთხოვა: ამ წლის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ სტუდენტებთან ერთად ორჯერ დავსწრებოდი მათ მიერ ორგანიზებულ სტუდენტურ დღეებს. ამ შეხვედრებზე დავათვალიერეთ მოხუცთა თავშესაფრები, ინვალიდთა სახელოსნოები და მიუსაფარ ბავშვთა სახლები, რომლებსაც ევანგელური ეკლესია აფინანსებდა და უვლიდა. იქ დავინახე, რამდენი რეალურად კეთილი საქმის კეთება შეუძლია ეკლესიას, თუ იგი თავის ენერგიას სწორად და ინსტიტუციონალური თვალსაზრისით ქმედითად მიმართავს. იქ ასევე გავიგე, რომ არსებობს ეკლესიათა საბჭოები და გაერთიანებები, რომლებიც ერთობლივი ძალისხმევით ცდილობენ, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სიღარიბესა და გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს დაეხმაროს. გავიგე, რომ, როდესაც ამ საბჭოსა და გაერთიანებების წევრები ერთმანეთს შეხვდებიან, გვერდიგვერდ დგებიან და ყველა ერთად, ოღონდ თავისებურად და თავის ენაზე ღმერთს უკეთეს მომავალსა და მშვიდობას შესთხოვს ხოლმე. მაგრამ, უნდა ვაღიარო, რომ არც ეს ინფორმაცია იყო ჩემთვის

მაინცდამაინც აქტუალური და მნიშვნელოვანი და არც მის გადამუშავებასა და გააზრებაზე დამიხარჯავს დიდი დრო და ენერგია. იქ ყოფნისას რეალურად არც კი გამიაზრებია, რომ სწორედ ისინი არიან ის ეკუმენისტები, რომლებიც ჩემს სამშობლოში ლამის სატანის მოციქულებად ჰყავთ შერაცხილი. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, უკვე საქართველოში დაბრუნებისას და გაზეთში რელიგიურ თემატიკაზე მუშაობისას, ჩემი ტვინის მივიწყებული კუნჭულებიდან ამოტივტივდა და დაუკავშირდა ორი მოვლენა ერთმანეთს: თურმე ის საშინელი ეკუმენისტები, რომლებსაც ჩვენი ეკლესიის დანგრევა სურთ, ის გულუბრყვილო, კეთილი და ზოგჯერ „მაზალო" ძიები და დეიდები არიან, რომლებსაც EKD-ს ორგანიზებულ შეხვედრებზე ვხვდებოდი ხოლმე... თურმე ეს „ეშმაკის მოციქულები" ის ხალხია, რომლებიც მე რამდენიმე წლის წინ მინახავს, თურმე ის ხალხია, რომლის ძირითადი საქმიანობაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიუსაფარი ადამიანებისათვის სანუგეშო სახლების დაარსებაა, ძირითადი დანაშაული კი ის არის, რომ ამ საქმის გასაგრძელებლად ღმერთისგან შეწევნას ერთად ითხოვენ ხოლმე. მხოლოდ შარშან აღმოვაჩინე, რომ ოდესღაც ჩემი მშობლიური ეკლესიაც ყოფილა ამ რელიგიური გაერთიანებების წევრი, შემდეგ კი რატომღაც ყველა ეს გაერთიანება ერთბაშად დაუტოვებია და ახლა ძირითადად იმით არის დაკავებული, რომ ჩემს ქვეყანაში უცხოსა და გარეშესადმი შიშს თესავს. ამ თემატიკაზე მუშაობისას, ჩემთვის ცხადი გახდა ისიც, რომ მთელი ეს შიშები, გაუკუღმართებული ღირებულებითი შეფასებები და კარჩაკეტილობა ელემენტარულ გაუნათლებლობასა და ამ თემის მიზანმიმართულ ტაბუირებაზეა დამოკიდებული.

ვფიქრობ, ამ გაუნათლებლობას ცოტათი მაინც ეშველება, თუ ის ადამიანები, ვისაც ამის უნარი და შესაძლებლობა აქვს, უფრო აქტიურად და ხმამაღლა ილაპარაკებენ იმის შესახებ, თუ რამდენად უფრო გახსნილი და ტოლერანტული იყო ჩვენი ეკლესია ერთ დროს, რას წერდნენ და რას ამბობდნენ მისი მამები, რა გზით სურდა ჩვენს ეკლესიას წასვლა საქართველოს პირველი დამოუკიდებლობის წლებში, რას წერდა და ამბობდა ამბროსი ხელაია, ვინ იყო გრიგოლ ფერაძე, რა ისტორიულ როლს თამაშობდა და რა როლს ასრულებს

ამჟამად რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ჩვენს ქვეყანაში.

ამ კრებულში 2004 წლის განმავლობაში გაზეთ „24 საათში" დაბეჭდილი ჩემი ის სტატიები შევიდა, რომელიც რელიგიის თემატიკას ეხება. ეს თემა ყველაზე აქტიური სწორედ 2004 წლის დასაწყისში გახდა, თავის პიკს ნოემბერში მიაღწია, მაგრამ შემდეგ მალევე, წლის ბოლოს ისევ ჩაცხრა. კრებულისათვის რვა წერილი და ერთი დისკუსია შეირჩა, რომლებიც, ვფიქრობ, შედარებით უკეთ ასახავს იმ ურთიერთმიმართებას, რაც ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასა და საზოგადოებას შორის არსებობს.

როდესაც ამ კრებულის შედგენის წინადადება მივიღე, ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო გახდა იმაზე დაკვირვება, თუ როგორ განვითარდა ეს პროცესები თითქმის ერთწლიანი პაუზის შემდეგ. ვფიქრობ, მკითხველისთვისაც სწორედ ეს პერსპექტივა იქნება უფრო საინტერესო. ამიტომ თითოეულ წერილს ახლანდელი მდგომარეობის ამსახველი მოკლე პოსტსკრიპტუმი ახლავს.

აქედან წიგნის დაწვამდე ერთი ნაბიჯია

ცენზურა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, ანუ საბაჟოდან განათლების სისტემამდე

30.01.04

ამას წინათ ჯ.კ. როულინგს ჰოგვორტსის ტყეში მთელი მსოფლიოდან „ჰარი პოტერის" მთარგმნელები შეუკრებია. წერილები ბუებს დაურიგებიათ. მათში, თურმე, ეწერა – მთვარის დაბნელებისას უახლოესი ტყის პირას გადით, ციდან „ნიმბუს 2004" ჩამოვარდება, ზედ შესხედით და სულჩრდილოეთისაკენ იფრინეთო. მთაგმნელებიც ასე მოქცეულან. უამრავი ადამიანი შეკრებილა. როულინგს მათთვის 346 ოკულტისტური ტერმინის თარგმნის შესახებ ინსტრუქტაჟი ჩაუტარებია, შემდეგ კი სტუმრებს ბერტიბოტის კამფეტებითა და ასფოდელოსის ჩაით გამასპინძლებია. როგორც „დილის მისანი" გვატყობინებს, ამ გასაიდუმლოებული აქციის მიზანი მთელი მსოფლიოს ბავშვების საერთაშორისო მასონურ ორგანიზაციაში ჩართვა ყოფილა.

ახლა ერთი ქართული ხალხური ზღაპარი მინდა გიამბოთ: მიდის უფლისწული გზაზე და ქალი შემოხვდება, სახელად ანანა. მოეწონება. ჰკითხავს, შენ ვინა ხარო. ქალი უპასუხებს: ჩემი დედა კამაა მამა - ოხრახუში, წელზე კი პრასის სარტყელი მარტყიაო. არ მოეწონება უფლისწულს ქალის წარმომავლობა და განაგრძობს გზას. გავა ხანი და უფლისწული ცოლს შეირთავს. ერთ დღესაც მისი ცოლი ბანზე დაჯდება ძაფის დასართავად. მოპირდაპირე სახლის ბანზე ანანა შემოჯდება და ისიც ძაფის რთვას იწყებს. უცებ დედოფალს ბანიდან თითისტარი ჩაუვარდება. თითისტარს ანანაც ჩააგდებს, მერე კი ცხვირს მოიჭრის და ეუბნება: – ცხვირო, აბა ერთი ჩადი, თითისტარი ამომიტანეო. ცხვირიც ასე მოიქცევა. მოეწონება უფლისწულის ცოლს ეს ამბავი, მოიჭრის ცხვირს თავადაც და სისხლისგან დაიცლება. გავა ხანი. ისევ შეხვდება უფლისწულს ანანა, ისევ იმასვე ეტყვიან ერთმანეთს.. უფლისწული ახლა მეორე ცოლს შეირთავს. ანანა ციურ ფურებს უხმობს, უფლისწულის ცოლის

თვალწინ მათ რძეს ააღულებს და იბანავებს. ამოვა იქიდან ათჯერ უფრო გალამაზებული. მოეწონება ეს ამბავი უფლისწულის ცოლს. მოწველის ჩვეულებრივ ძროხებს, ააღულებს რძეს, შიგ ჩახტება და მოიხარშება. გობის ზედაპირზე თმებიღა ამიტივტივდება. ძალიან დაღონდება უფლისწული. თავს სისხლში მოითხვრის და კამისა და ოხრახუშის კვალში ჩაწვება. გამოიკლის ანანა და ხედავს, მკვდარია მისი უფლისწული. თავზარდაცემული თავის მშობლებს - მზესა და მთვარეს და თავის და-ძმებს - ვარსკვლავებს უხმობს: – ჩამოდით, ნახეთ, საყვარელი მომიკვდაო. წამოდგება მაშინ უფლისწული: - ანანავ, ასეთი წარმომავლობისა თუ იყავი, დროზე ვერ მითხარიო? შეირთავს ცოლად და ცხოვრობენ დიდხანს და ბედნიერად.

არა, როგორია, ჰა? ეს კიდევ არაფერი, მსგავსი, და უფრო ძვირფასი მარგალიტებით (მაგალითად, დევების საყვარლობისთვის შვილების მოხარშვა და ა.შ.) სავსეა ქართული და მსოფლიო ხალხური ზღაპარი. მაგრამ იგი არასდროს არავის აუკრძალავს. და კარგიც უქნიათ. ტყუილია, რომ ყველა ზღაპარი აუცილებლად კეთილის ბოროტზე გამარჯვებით მთავრდება. ამგვარი პარადიგმატული სახე ზღაპართა ერთმა დიდმა ნაწილმა უფრო მოგვიანებით მიიღო. თანამედროვეობაში ეს ზღაპრები ახალ ლიტერატურულ ჟანრად გადაიქცა და მას *ფენტეზი* (Fantasy) ჰქვია (ფანტასტიკაში არ უნდა აგვერიოს!).

ფენტეზის წყარო ძალიან მდიდარი ევროპული ფოლკლორია თავისი ჯადოქრებით, ელფებით, ჯუჯებით, ტროლებით, გობლინებით, აჩრდილებითა და პოლტერგეისტით. ამ ჟანრის მუშაობის პრინციპი მარტივია – ძველი გადმოცემებიდან იღებ ამბებს და სახეებს, შემდეგ კი მათ ხელახლა ათამაშებ. მართალია, არ არის აუცილებელი, ყველა გმირი თავისი პროტოტიპის ზუსტი ასლი იყოს – მაგალითად, შეიძლება რომელიმე დევი უცებ კეთილ, გულჩვილ არსებად იქცეს – თუმცა, აუცილებელია, ნებისმიერი ამბავი კეთილისა და ბოროტის მარადიულ ბრძოლას ეხებოდეს და წიგნი საბოლოოდ კეთილის გამარჯვებით მთავრდებოდეს. მოკლედ, კაცმა რომ თქვას, ეს ჟანრი ბევრად უფრო ჰუმანური მოვლენაა, ვიდრე ძველი ხალხური ზღაპარი. ამ ჟანრს ეკუთვნის „ჰარი პოტერიც.”

მისი ასეთი პოპულარობა, ჩემი აზრით, რამდენიმე

ელემენტის თანხვედრამ განაპირობა. ამ ჟანრში მომუშავე მწერლები, საერთოდ, ჯადოსნური გარემოს დახატვასა და ე.წ. ექშნს - ქმედებათა განვითარებას – უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე მოქმედ გმირთა სახეებს. ბევრ ასეთ წიგნში მთავარი მოქმედი გმირის სახეც კი, შესაძლოა ისეთივე განუვითარებელი დარჩეს, როგორც ეს თავის დროზე ზღაპარში ხდებოდა. როულინგის წიგნებში კი არაჩვეულებრივად მიგნებულ ჯადოსნურ გარემოში, ქმედებებიც ძალიან დაძაბულად და საინტერესოდ ვითარდება და ნებისმიერი გმირის სახეც ბოლომდე იშლება. ამას თუ დავუმატებთ იუმორს, ბუნებრივ ნიჭიერებას და, რაც მთავარია, იმ სითბოს, რომელიც მხოლოდ ქალის მიერ ბავშვებისათვის დაწერილ წიგნში შეიძლება აღმოაჩინო, „ჰარი პოტერის" პოპულარობა გასაკვირი სულაც არ უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ მისი გამოსვლა დაემთხვა დროს, როდესაც წიგნების გამოცემის, თარგმნისა და გავრცელების სისწრაფემ პიკს მიაღწია.

ისევე როგორც ყოველივე პოპულარულს, მოწინააღმდეგეები ამ ზღაპარსაც გამოუჩნდა, თანაც რელიგიური ასპექტით. ყველაზე მეტად ამერიკული რელიგიური დაჯგუფებები და მართლმადიდებლები აქტიურობენ. ევროპამ თავისი ინკვიზიტორული ჟინი, როგორც ჩანს, უკვე მოიკლა. განსაკუთრებული მონდომებით ამ საქმეს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ეკიდება. მას ფეხდაფეხ მიჰყვება ქართულიც. „ჰარი პოტერის" მეორე წიგნი ჯერ კიდევ არ იყო გამოსული, რომ ბორჯომ-ბაკურიანის მთავარეპისკოპოს სერაფიმეს კურთხევით, ქართულ ენაზე დაიბეჭდა რუსულიდან თარგმნილი ბროშურა, რომელიც ქართულ*სახელმწიფო* სკოლებში ორ-ორ ლარად გაიყიდა. თავი დავანებოთ იმას, რომ ბროშურა ყოველგვარი საავტორო უფლებების დარღვევითაა დაბეჭდილი, თავი დავანებოთ იმასაც, რომ განათლების სამინისტროს ბრძანებით, სკოლებში არანაირი ლიტერატურის გაყიდვა არ შეიძლება და დავსვათ კითხვა: რატომ უნდა ახვევდნენ ბავშვებს თავს რუსული ფანატიკური იდეოლოგიით დატვირთულ მდარე ხარისხის ტექსტს, სადაც ტყუილების მეტი არაფერი წერია? მაგალითად, ამერიკაში ვიღაც გოგონას პოტერის გავლენით

ჯადოქრობა მოუნდომებია, მაგიდაზე ასულა, იქიდან გადმომხტარა და საავადმყოფოში საშინელი დაზიანებებით მიუყვანიათ. ეტყობა, ამერიკაში 1,8-იანი სიმაღლის მაგიდებია მოდაში. ბროშურაში ისიც წერია, რომ ჯადოქართა ერთ-ერთი მასწავლებლის სახელი ზლატოპუსტ ლოკინსია და რომ ეს პაროდიაა წმ. იოანე ოქროპირზე. სხვათა შორის, ამ მასწავლებელს, ინგლისურ (ასევე ქართულ) ვერსიაში, გილდეროი ლოკჰარტი ჰქვია. იგი საოცრად მკვეხარა პერსონაჟია. ალბათ ამის გამო რუსმა მთარგმნელმა მას სახელად ზლატოპუსტი მოუგონა, ეკლესიამ კი როულინგს სასწრაფოდ იოანე ოქროპირის გაშარჟება დააბრალა. რატომ უნდა იყიდებოდეს სკოლებში რუსეთიდან შემოსული ეს პარანოიდული ნაბოდვარი? სკოლებში გაწეულმა პროპაგანდამ, ერთი მხრივ ის გამოიწვია, რომ ბავშვები მშობლებისგან წიგნების დაწვას ითხოვენ, მოზრდილები კი წიგნების გამყიდველებთან მიდიან და ეუბნებიან, როგორ არ გრცხვენიათ, ამ სატანისტურ ლიტერატურას რომ ყიდითო, მეორე მხრივ კი, წიგნის პოპულარობა ერთიორად იზრდება.

საეკლესიო ცენზურას, მართალია არაოფიციალურად, მაგრამ ფესვები საკმაოდ ფართოდ აქვს გადგმული. როდესაც ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას სასკოლო თვალსაჩინოებათა გამოფენაზე „ჰარი პოტერის" წარდგენა სურდა, სამინისტროს წარმომადგენლებმა შინაურულად სთხოვეს, ამ წიგნს ნუ გამოიტანთ, ეკლესიასთან პრობლემები რომ არ შეგვექმნასო. ბაკურ სულაკაურს ცოტა ხნის წინ საბაჟოდანაც დაურეკეს, აქ თქვენი წიგნები, „ბიბლიის ატლასი" შემოვიდა და მის გამოტარებაზე საპატრიარქოს ნებართვა თუ არსებობსო! ფილარმონიაში მიშა ანთაძის მიერ დადგმულ საახალწლო ზღაპრის წარმოდგენაზე, რომელშიც სხვა ზღაპრის გმირებთან ერთად ჰარი პოტერიც მონაწილეობდა, გამოჩნდნენ ვიღაცეები და ბავშვებს პოტერის საწინააღმდეგო ბროშურებს ურიგებდნენ. ვითომ იეღოვას მოწმეები არ გვაჯლდნენ ბროშურების დამრიგებლებად!

ცნობილი ამბავია, რომ საერო წიგნებთან მიმართებაში ეკლესიის აზრი, რბილად რომ ვთქვათ, მთლად კომპეტენტური ვერ არის ხოლმე. იყო დრო, როდესაც არქიმანდრიტი ტიმოთე გაბაშვილი თავის „მიმოსვლაში" რუსთაველზე წერდა: „შოთა

მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმაც ასწავა ქართველთა სიწმინდის წილ ბილწება და გარყვნა ქრისტიანობა". იყო დრო, როდესაც ქართულ საზოგადოებაში ეკლესიიდან გამოსული 100 წიგნის სია დადიოდა, რომლის წაკითხვაც მართლმადიდებლის სულს საფრთხეს შეუქმნიდა, ამ სიაში მესამე ადგილი, მაგალითად, ფაჯი ბაქრაძეს ეკავა. იყო დრო, როდესაც საქართველოში ახლად დაბეჭდილ პასტერნაკისა და ახმატოვას ტომებზე მოძღვრები მრევლს ურჩევდნენ, არ წაიკითხოთო. ზოგიერთი არქიმანდრიტი ინტერნეტის საშუალებით ახლაც აუწყებს თავის მრევლს, რომ გოეთე და ბაირონი ძვალ-რბილამდე გარყვნილი ადამიანები არიან. თუმცა დღემდე წიგნის მიმართ ამგვარი ანტიპროპაგანდა საერო განათლების სისტემის მეშვეობით არასოდეს გავრცელებულა. რა შეიცვალა დღეს? უკვე მართლმადიდებლურ სახელმწიფოდ გამოვცხადდით და მე გამომრჩა?

ამ სტატიის დაბეჭდვიდან თითქმის წელიწად-ნახევარი გავიდა. ამასობაში უკვე ქართულ ენაზე „ჰარი პოტერის „მეხუთე ტომიც დაიბეჭდა. ამ პერიოდის განმავლობაში იმდენი რამე შეიცვალა, რომ „ჰარი პოტერი" ჩვენი ეკლესიისა თუ მედიის ყურადღების მთავარ საგნად ნამდვილად ვერ დარჩებოდა. ასე რომ, წიგნი გამოდის და მშვენივრადაც ვრცელდება. მაგრამ, თუ მისი გავრცელების მაჩვენებლებს სხვა ქვეყნებისას შევადარებთ, ხსენებული პროპაგანდის გამო, ეს მაჩვენებელი მაინც საგრძნობლად მცირეა. როგორც წიგნის რედაქტორმა „ჰარი პოტერის" რუს გამომცემელთან და წიგნის გავრცელების ინგლისელ აგენტთან საუბარში გაარკვია, წიგნის გაყიდვას შეფერხება მსოფლიოს ერთადერთ ქვეყანაში, პაკისტანში შეექმნა, ისიც იმიტომ, რომ ლეგალური ვერსიის გამოსვლამდე დიდი რაოდენობის პირატული ტირაჟი გაიყიდა. არც ერთ სხვა ქვეყანაში ეკლესიის პოზიციას წიგნის გავრცელებაზე გავლენა არ მოუხდენია. მართალია, პოტერის „ დაბლოკვის" მცდელობა რუსეთშიც იყო, მაგრამ იქ ეკლესიის აზრი ორად გაიყო და, შესაბამისად, ვერც ერთმა მხარემ ეფექტურად ვერ იმუშავა. ასე რომ, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ეკლესიის პროპაგანდამ წიგნის გავრცელებაზე გავლენა მოახდინა. ერთი შეხედვით, ამით კატასტროფული არაფერი მომხდარა: „ბაკურ

სულაკაურის გამომცემლობა" არ დაშარალებულა. ვისაც წიგნის წაკითხვა სურდა, ყველამ წაიკითხა. მაგრამ საყურადღებო აქსხვა რამეა. ეს ფაქტი ნათელი მაგალითია იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში საეკლესიო ჟურნალ-გაზეთებისა და საკმაოდ ბევრი მღვდლის ფანატიკური სულისკვეთების მქონე პროპაგანდა აშკარად მუშაობს. ეს პროპაგანდა კი „ჰარი პოტერის" გარდა ბევრს სხვა რამესაც ერჩის. ერჩის დასავლეთს, დასავლურ განათლებას, ლიბერალურ ღირებულებებს. სამაგიეროდ, მოსწონს რუსული ნაც-რელიგიური იდეოლოგია და თანაც ქვეყანაში შეთქმულებების თეორიების პარანოიდულ სინდრომს ამკვიდრებს...

დახურული და დაუხურავი საქმეები

ორი წიგნის ამბავი

12.02.04.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ბოლო წლებში წიგნის დაწვა ან წიგნის დაწვისკენ მოწოდება საქართველოში მოდურ ტრადიციად იქცა. როგორც ამას წინათ კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრისა და მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ სემინარზე ითქვა, ამგვარი ტრადიციისა და რელიგიური შეუწყნარებლობის დამკვიდრებას ჩვენს საზოგადოებაში ამ ფაქტებისადმი სახელმწიფოსა და მართლმადიდებელი ეკლესიის გულგრილი დამოკიდებულება უწყობს ხელს. სემინარზე შეკრებილმა საზოგადოებამ იმედი დაიტოვა, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში მსგავსი რამ აღარ განმეორდება. ჩვენც ამ იმედით საზოგადოებას ორი წიგნის ამბავს შევახსენებთ, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, თუ რა როლს თამაშობდა სახელმწიფო სტრუქტურები არაჯანსაღი გარემოს დამკვიდრებაში და რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ნება მომავალი თაობის ნორმალურად აღზრდისა და განვითარებისთვის.

„ჰარი პოტერი" ერთადერთი წიგნი არ არის, რომლის დაწვასაც საქართველოში ხმამაღლა მოითხოვენ. სანამ საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ჩვენს იმიჯს „ვარდების რევოლუცია" საგრძნობლად არ გამოასწორებდა, „ევრონიუსისა" და „სი-ენ-ენ-ის" მეშვეობით, საქართველო ძირითადად წიგნებისაგან კოცონების ამაგიზგიზებელ ქვეყანად იყო ცნობილი. თანაც ინკვიზიტორულ ცეცხლში არა მხოლოდ იეღოვას მოწმეთა და ბაპტისტთა რელიგიური ლიტერატურა ხვდებოდა...

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კონსტიტუციურად საქართველო რელიგიური თვალსაზრისით ნეიტრალური სახელმწიფოა. შესაბამისად, სკოლებში საგანი, რომელსაც საზოგადოებაში „რელიგიას" უწოდებენ, სავალდებულო არ არის, იგი ფაკულტატიურია. სინამდვილეში ამ საგანს "რელიგიების

ისტორია" ეწოდება და არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს რომელიმე აღმსარებლობის სწავლებას. 1998 წელს საქართველოს განათლების სამინისტრომ ამ საგნის სახელმძღვანელოდ დაამტკიცა რეზი თვარაძის წიგნი, სახელწოდებით „რელიგია და კულტურა". მაგრამ ამ წიგნის წინააღმდეგ მალევე გაილაშქრა ორგანიზაციამ „მართლმადიდებელ მშობელთა ასოციაცია". ამ ასოციაციის წევრებმა წიგნები ჯერ საჯაროდ გაანადგურეს, შემდეგ კი სასამართლოში შეიტანეს სარჩელი და წიგნისათვის სახელმძღვანელოს გრიფის გაუქმება მოითხოვეს. მათი მოსაზრებით, ამ წიგნში სათანადოდ არ იყო გადმოცემული მართლმადიდებლობის არსი. როგორც ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელი ნუგზარ პაპუაშვილი იხსენებს, 1999 წლის სექტემბერში სასამართლომ ეს სარჩელი დააკმაყოფილა და სახელმძღვანელოს გრიფი გაუუქმა. განათლების სამინისტრო იძულებული გახდა სახელმძღვანელოსათვის სახელწოდება შეეცვალა და იგი რეგისტრაციაში გატარდა, როგორც "რელიგიების ისტორია და კულტურა". მაშინ მართლმადიდებელ მშობელთა ასოციაციამ განათლების სამინისტროს ულტიმატუმით მიმართა, ჩივილს ისევ გავაგრძელებთ, თუ სახელმძღვანელო გრიფს ჩვენს მიერ შემოთავაზებულ წიგნსაც არ მიანიჭებთო. სასამართლოს მსგავსად, ამ ორგანიზაციის ნებას განათლების სამინისტროც დაჰყვა. ასე რომ, 2001 წლიდან საქართველოს სახელმწიფო სკოლებში სახელმძღვანელოს სტატუსი ენიჭება წიგნს, რომელსაც პირდაპირ აწერია, რომ იგი საბერძნეთის საკვირაო მართლმადიდებლური სკოლების სახელმძღვანელოა. დღეს სკოლებში ეს საგანი ან ამ ბერძნულიდან გადმოტანილი წიგნით ისწავლება, ან რუსულიდან თარგმნილი საღვთო სჯულით, რომელსაც არავითარი სახელმძღვანელო გრიფი არ გააჩნია, ანდა სულაც უსახელმძღვანელოოდ და გაკვეთილი ფანატიკურად განწყობილ რელიგიის მასწავლებელთა სავარჯიშო პოლიგონად არის ქცეული. შედეგად კი ვიღებთ შეშინებულ ბავშვებს, რომლებსაც ღამე ჯოჯოხეთი ესიზმრებათ, ან გაბოროტებულ ბავშვებს, რომლებიც წიგნის დაწვას მოითხოვენ.

როგორც დეკანოზი ბასილ კობახიძე აღნიშნავს,

მართლმადიდებელ მშობელთა ასოციაცია კონსერვატულად და სეპარატისტულად განწყობილი მრევლის ბაზაზე შექმნილი ორგანიზაციაა, რომელსაც კულუარულად დეკანოზი ზურაბ ანთაძე ხელმძღვანელობს. **„შტაბ-ბინა მათ „ლუკოილის" ოფისში აქვთ. „ლუკოილი" კი, როგორც ცნობილია, ის ორგანიზაციაა, რომელიც რუსეთის საპატრიარქოს ოფიციალურად აფინანსებს, თანაც იმდენად, რომ მადლიერი ალექსი მეორე მათ სარეკლამო კლიპშიც კი იღებს მონაწილოებას. „ლუკოილის" თბილისის ოფისის ხელმძღვანელი, დავით ლანჩავა თავისი პრორუსული იდეებითაა ცნობილი, იგი ეპისტოლეებს სწერს პატრიარქს და ქართული გალობის ერთხმოვანებაზე გადაყვანას ითხოვს. ასე რომ, აქ რაღაც ერთგვარი რელიგიურ-პოლიტიკურ-ბიზნესური სამკუთხედია შეკრული".**

მართლმადიდებელ მშობელთა ასოციაცია კიდევ ერთი, უფრო სწორად, ორი წიგნის დევნაში იღებდა აქტიურ მონაწილეობას. გამომცემლობა „დიოგენემ" რამდენიმე წლის წინ ორი წიგნი გამოსცა: "მხიარული საუბრები ჰიგიენის, სექსის და ცხოვრების ჯანმრთელი წესის შესახებ" და „ცვლილებები სხეულში, ცვლილებები ცხოვრებაში". **„ჩვენ მიერ გამოცემულ პირველ წიგნს ეფექტურობის საკვლევი სპეციალური კითხვარი ახლდა. მიღებული პასუხების ანალიზმა დაადასტურა, რომ ბავშვებს ამ თემებზე ღია საუბარი სურთ და თანაც უნდათ, რომ მათი წყარო რაც შეიძლება სანდო და კომპეტენტური იყოს. მეორე წიგნი უფრო მაღალ ასაკობრივ ზღვარს განეკუთვნებოდა. სექსზე საუბარს ამ წიგნის მხოლოდ მეხუთედი ეთმობა, დანარჩენი კი ნარკოტიკების, თამბაქოს, ალკოჰოლის, ჰიგიენისა და ჯანსაღი კვების საკითხებს ეხება",** – ამბობს ამ წიგნების გამომცემელი თამარ ლებანიძე.

თითქოს არ უნდა იყოს საკამათო, რომ ქვეყანაში, სადაც ყოველი მესამე ახალგაზრდა სრულწლოვანების მიღწევამდე ქორწინდება და შემდეგ რამდენიმე წელიწადში ოჯახს ანგრევს, ქვეყანაში, სადაც მოზარდთა უმრავლესობა ელემენტარულ სექსუალურ და ჰიგიენურ განათლებას ქუჩიდან იღებს, ამ წიგნებს დიდი მადლიერებით უნდა შეხვედროდნენ. მაგრამ რატომღაც სულ

პირიქით მოხდა. ეს წიგნები არათუ მართლმადიდებელ მშობელთა ასოციაციის, არამედ პოლიტიკოსების პოლიტიკური სპეკულირების საგანიც აღმოჩნდა. დებატები ჯერ ჯონდი ბაღათურიამ მოაწყო, თუმცა აქტიურობა აღარ გაუგრძელებია. სამაგიეროდ, საქმეს ბოლომდე მიჰყვა დეპუტატი გურამ შარაძე. მან ეს წიგნი ჯერ პარლამენტში დაწვა, შემდეგ კი გენერალურ პროკურატურასთან, თანაც გენერალურ პროკურორსა და კონტროლის პალატის თავმჯდომარეს მიმართა, რათა გამომცემლობა „დიოგენესა" და პირადად თამარ ლებანიძის გამხრწნელი საქმიანობა გამოეძიებინათ. გაგეცინებათ და, პროკურატურამ საქმე მართლაც აღძრა. პარალელურად ამოქმედდა მართლმადიდებელ მშობელთა ასოციაციაც. **„წიგნის ფესტივალზე ჩვენი სტენდის დარბევის მცდელობა ჰქონდათ, მოგვიცვივდნენ ოფისშიც. ერთ დღეს ომბუდსმენის აპარატის ხალხიც კი გვიცავდა. შემდეგ ისინი მაღაზიიდან მაღაზიაში დადიოდნენ და რაღაც გაურკვეველი ფურცლით შეიარაღებულები გამყიდველებს ამ წიგნის გაყიდვას უკრძალავდნენ. ამის გამო მაღაზიებმა ეს წიგნი მასობრივად უკან დაგვიბრუნეს. ყოველივე ამან ჩვენთვის უმძიმესი შედეგები გამოიწვია, თვეების მანძილზე პარალიზებული ვიყავით, რადგან პროკურატურა ჩვენს 5 წლის ფინანსურ მასალას სწავლობდა. სასაცილოა, მაგრამ ამაში კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულებთან ბრძოლის მე-6 განყოფილებაც ჩაერთო. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე დიდი ოდენობის თანხების დატაცებისათვის. ამჟამად საქმე, ბუნებრივია, დახურვისაკენ მიდის, თუმცა ჯერ კიდევ არ დახურულა. მე და ლევან მამალაძე, ეტყობა, ერთ რანგში გავდივართ"** – ხუმრობით ასრულებს თამარ ლებანიძე.

ამ დროისათვის სასამართლოში ეს საქმე უკვე კარგა ხნის დახურულია, გამომცემლობა „დიოგენეს" ამჟამად არც „მართლმადიდებელ მშობელთა ასოციაციის" წევრები აწუხებენ და არც დეპუტატები. თუმცა ფობიები ამ მიმართულებით ჩვენს საზოგადოებაში მთლიანად, რა თქმა უნდა, არ გამქრალა. ამას წინათ, მაგალითად, თამარ ლებანიძეს ერთ-ერთი საბავშვო ჟურნალის გამომცემლები დაუკავშირდნენ. ეს ჟურნალი

საქართველოში რამდენიმე წლის წინ გამოდიოდა, შემდეგ მის გამომცემლებს გარკვეულ ხანს საზღვარგარეთ მოუწიათ ცხოვრება, ახლა დაბრუნდნენ და საქმის გაგრძელებას აპირებენ. მათ სურდათ თავიანთ განახლებულ ჟურნალში მოზარდებში სექსისა და ჰიგიენის თემას შეხებოდნენ, მაგრამ, როგორც კი კერძო საუბარში გაარკვიეს, თუ რა სირთულეები ახლდა თან ამ წიგნის გამოცემას, განზრახვაზე ხელი აიღეს. სიმპტომატურია ისიც, რომ ჯორჯ სოროსის საქართველოში ვიზიტისას, ფონდ „ღია საზოგადოების" წინ გამართულ მიტინგზე სოროსს ბრალად იმასაც სდებდნენ, რომ მან ეს წიგნები დააფინანსა, თუმცა ფონდს ამ წიგნების გამოცემასა და გავრცელებაში არასდროს არანაირი მონაწილეობა არ მიუღია.

რაც შეეხება „მართლმადიდებელ მშობელთა ასოციაციას", მათ ამასობაში ოფისიც შეიცვალეს და აქტივობების სახეც. გამომცემლობებისა და წიგნების მიმართ ამ ბოლო პერიოდში რაიმე განსაკუთრებული აქტივობა არ გამოუჩენიათ („მხოლოდ" ორმოცდაათიანელთა დარბევაში სდებდა მათ ბრალს რამდენიმე თვის წინ თავისუფლების ინსტიტუტი), თუმცა საკმაოდ აქტიურად არიან ჩართულნი განათლების სამინისტროს საქმიანობის შესწავლაში. საპატრიარქოსთან ერთად, მათი დიდი ინტერესის საგანია, თუ რა სასწავლო პროგრამები იქმნება სამინისტროში და რა წიგნებს ენიჭება სახელმწიფო გრიფი. ამის უფლება მათ, ბუნებრივია, ყოველთვის ჰქონდათ, მაგრამ განსაკუთრებული გააქტიურების საბაბს მათ საპატრიარქოსა და სამინისტროს შორის ამ გაზაფხულზე დადებული მემორანდუმიც აძლევს.

ჯერ-ჯერობით სკოლებში რელიგია ისევ ძველი მეთოდებით და სტატიაში აღნიშნული სახელმძღვანელოებით ისწავლება, თუმცა ახლო მომავალში ეს სიტუაცია შეიცვლება. განათლების სამინისტროს დაგეგმილი აქვს V-XII კლასებისათვის რელიგიის ისტორიის სახელმწიფო სტანდარტი შეიმუშაოს და ეს საგანი ფაკულტატიურიდან სავალდებულოდ აქციოს. სტანდარტის გარკვეული მონახაზი არსებობს კიდეც, მაგრამ ახლა ამ საგნის სავალდებულო საგანთა რიგში შეყვანის წინააღმდეგ საპატრიარქომ გაილაშქრა იმ მოტივით, რომ საგნის ნეიტრალურად სწავლება შეუძლებელია, თუმცა, როდესაც შეხვედრაზე სამინისტროს

თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ ნეიტრალურია ასწავლო ის, რასაც თითოეული რელიგია ამბობს თავის თავზე. პატრიარქმა თქვა, რომ, შესაძლოა, ეს იყოს ამ საგნის სწავლების ერთადერთი სწორი ფორმა. ახლა ამ საკითხს ორი რელიგიათშორისი საბჭო სწავლობს - ერთი ომბუდსმენთან, მეორე კი საპატრიარქოსთან არსებული. იმედია, ისინი როდესმე ერთმანეთში შეთანხმდებიან, ან თუნდაც ცალ-ცალკე მიაწოდებენ სამინისტროს თავიანთ კომპეტენტურ მოსაზრებებს ამ საგნის სწავლებასთან დაკავშირებით. იმედია, სამინისტრო როდისმე რელიგიის ისტორიის ნორმალურ სტანდარტს შეიმუშავებს და ამ სტანდარტის საფუძველზე რაიმე ღირებული სახელმძღვანელო შეიქმნება. იმედია, დადგება დრო, როდესაც ეს საგანი ფანატიკური რელიგიური იდეებით შეპყრობილი ადამიანებისათვის თავისუფალი ასპარეზი აღარ იქნება.

მსოფლიო, მსოფლიო მნეობა და ჩვენ

27.02.04

შვიდი მსოფლიო რელიგიის ერთი ოქროს კანონი: „შენი მთავარი მოვალეობაა, არაფერი გაუკეთო სხვას ისეთი, რაც თავად ტკივილს მოგაყენებდა" (ინდუიზმი – მაჰაბჰარატა XIII.114.8); „ადამიანი ყველა სხვა არსებას ისე უნდა მოექცეს, როგორც მას თავად სურს, რომ ექცეოდნენ" (იაინიზმი – სუტრაკრიტანგა I.11.33); „არ გაუკეთო სხვას ის, რაც არ გინდა, რომ სხვამ შენ გაგიკეთოს" (ჩინური რელიგია – კონფუციუსი 15.23); „მდგომარეობა, რომელიც არ არის ჩემთვის სასიამოვნო და აღმაფრთოვანებელი, ასეთივე იქნება სხვისთვისაც" (ბუდიზმი – სამუატა ნიკაია V,353.35-354.2); „ნუ გაუკეთებ სხვას იმას, რაც თავად არ გენდომებოდა, რომ გაგიკეთონ" (იუდაიზმი – შაბბატ 31 ა); „მოექეცი ყველაფერში ისე სხვას, როგორც თავად გინდა, რომ გექცეოდნენ" (ქრისტიანობა – მათე 7.12; ლუკა 6.31); „ვერც ერთი თქვენგანი ვერ გახდება მორწმუნე, სანამ საკუთარ ძმას იმასვე არ უსურვებს, რასაც საკუთარ თავს" (ისლამი – 40 ჰადითი, მუჰამედი 13).

ცხადია, რომ 11 სექტემბრის ტერაქტს ისლამთან, არავითარი კავშირი არ გააჩნია; ცხადია, რომ კამიკაძეობას არაფერი შეიძლება ჰქონდეს საერთო რომელიმე რელიგიასთან, მაგრამ ისიც ცხადია, რომ დღევანდელ მსოფლიოში, ანუ ტერაქტების ხანაში, ურთიერთდაპირისპირებები და ომები რელიგიის სახელს ამოფარებული ვითარდება. ისრაელისა და პალესტინის კრიზისი, 1992-99 წლების ბალკანეთის ომი, უსამა ბინ ლადენი, ეკლესიების სურვილი, ჩაერთონ ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებაში, და უფრო მეტიც, წარმართონ ის, აშკარად ცხადყოფს, რომ რელიგიებს თანამედროვე ცხოვრების წესის განსაზღვრაში ჯერ კიდევ დიდი როლი აქვთ.

ლმობიერების გზაზე, ანუ
გოეთეს ინსტიტუტის პროექტი საქართველოში

„ერებს შორის მშვიდობა არ იარსებებს, თუ არ იარსებებს მშვიდობა რელიგიებს შორის; რელიგიებს შორის მშვიდობა არ იარსებებს, თუ არ იარსებებს დიალოგი; დიალოგი არ იარსებებს, თუ არ იარსებებს მნეობის მსოფლიო საზომი; მნეობის გარეშე მსოფლიო ვერ გადარჩება" ეს სიტყვები გერმანელ თეოლოგს, კათოლიკე მოძღვარს, ჰანს კიუნგს ეკუთვნის. სხვისი აზრის მოსმენის კულტურა, გახსნილობა და ურთიერთშემწყნარებლობა – ითვლება, რომ ამ ღირებულებათა დეფიციტი დღევანდელ მსოფლიოში განსაკუთრებით მწვავეა. ჩემი აზრით, პირიქით, თანამედროვე მსოფლიომ ამ მიმართულებით დიდი ნაბიჯები გადადგა. დეფიციტის შეგრძნება კი იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ამ ღირებულებათა მოთხოვნა ყოველდღე უფრო იზრდება. ძალიან ბევრ ქვეყნაში ამ ღირებულებათა პროპაგანდა ინსტიტუციონალურ დონეზე ხდება. სამოქალაქო განათლება სასკოლო კურიკულუმების მნიშვნელოვანი ნაწილია, ამ იდეების გავრცელებაში, როგორც წესი, აქტიურადაა ჩართული ე. წ. სამოქალაქო სექტორიც; ამ იდეათა დანერგვას ემსახურება მსოფლიო ეკლესიათა ის ნაწილიც, რომელთა საქმიანობაც მხოლოდ სახელმწიფოზე გავლენის მოპოვებითა და ურთიერთშუღლით არ არის შემოფარგლული.

რელიგიათა შორის დიალოგის აუცილებლობა მსოფლიომ განსაკუთრებით ნათლად 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ დაინახა. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში უკვე დიდი ხანია ხორციელდება პროექტი, რომელსაც „ისლამთან დიალოგი" ეწოდება. მსგავსი ტიპის ერთწლიანი პროექტი საქართველოში გოეთეს ინსტიტუტმაც წამოიწყო, ოღონდ არა მხოლოდ ისლამთან, არამედ საერთოდ რელიგიებთან დიალოგის დევიზით. **„ჩვენი პროექტის სახელია "ლმობიერების გზაზე". დღევანდელ დღეს რელიგიებს შორის დიალოგს და ამ საკითხებზე საუბრს ძალიან მნიშვნელოვნად მივიჩნევთ, თანაც მიგვაჩნია, რომ აუცილებელია არა მხოლოდ ისლამთან და სხვა რელიგიებთან**

დიალოგი, არამედ დიალოგი ქრისტიანულ ეკლესიებს შორისაც. ამიტომ გადავწყვიტეთ ეს პროექტი საქართველოშიც განგვეხორციელებინა და იგი გერმანელ თეოლოგ ჰანს კიუნგს დავუკავშირეთ. სხვათა შორის, ქართულ ენაზე არსებობს მისი წიგნი „მსოფლიო მნეობა", რომელიც ქართულად ზურაბ აბაშიძემ თარგმნა. მოვაწყობთ სემინარებს, პლაკატების გამოფენებს მსოფლიო რელიგიების შესახებ; პროექტის ფარგლებში ასევე წარმოდგენილია შვიდი ფილმი შვიდ ძირითად რელიგიაზე, რომელიც ქართულად ითარგმნება და ნაჩვენები იქნება არა მხოლოდ ჩვენს ინსტიტუტში, არამედ კინოთეატრებშიც. გარდა ამისა, თუ სკოლების სურვილი იქნება, მსგავსი გამოფენები და ჩვენებები სკოლებშიც მოეწყობა. ნოემბერში დაგეგმილი გვაქვს დიდი კონფერენცია. მოწვეული იქნება ის ადამიანი, რომელიც გერმანიაში ისლამურ პროექტს კურირებს, გვინდა მოვიწვიოთ რუსეთის მართმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები და საერთოდ ყველა, ვისაც ამ პროექტში მონაწილეობისა და საკუთარი აზრის გამოთქმის სურვილი გაუჩნდება" – გვითხრა გოეთეს ინსტიტუტის წარმომადგენელმა ნათია მიქელაძემ.

18 თებერვალს პროექტი მე-20 საუკუნის ქართველი სასულიერო მოღვაწის, 1995 წელს წმინდანად შერაცხული გრიგოლ ფერაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფილმის ჩვენებით დაიწყო.

დევნილი წმინდანი

გრიგოლ ფერაძე, ძველი ქართული კულტურის მკვლევარი და სასულიერო მოღვაწე, ბონის უნივერსიტეტის ქართული და სომხური ფილოლოგიის პრივატდოცენტი, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი და თეოლოგიის კათედრის გამგე გახლდათ. 1927 წელს ლოზანაში გამართულ მსოფლიო კონფერენციაზე იგი საქართველოს ეკლესიის ერთადერთი წარმომადგენელი იყო. მისი თაოსნობით გაიხსნა წმინდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესია პარიზში და დაარსდა ჟურნალი „ჯვარი ვაზისა". გრიგოლ ფერაძე 1942 წელს დაიღუპა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში. თავისი ცხოვრების

გზისა და სიკვდილის წინ მოყვასისათვის თავგანწირვის იშვიათი მაგალითის გამო 1995 წელს საქართველოს მართმადიდებელმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა. **„ქრისტიანობის არსი მტრობაში, შურსა და ავაზაკობაში როდია. მე ღრმად მწამს, მოვა დრო, როდესაც არა მხოლოდ რომაული და ბერძნული ეკლესია გაერთიანდება, არამედ ევანგელურიც, რომელიც ასევე ღმერთის სახლია. ერთიანობა რაღაც წმინდა და საოცარია, – ის ჩვენი უფლის ბოლო ლოცვაა მამისადმი და ბოლო წინასწარმეტყველებაც, რაც მაშინ აღსრულდება, როცა უფალიც ინებებს და საამისოდ შესაბამისი დრო დადგება. სიყვარულით ყველაფრის მიღწევა შეიძლება. მას არ ეშინია წინააღმდეგობების – ის ყველაფერს იტანს და ყველაფერს აღნობს და აქრობს, რაც დასადნობი და გასაქრობია"**. ეს სიტყვები გრიგოლ ფერაძემ ლოზანის კონფერენციაზე წარმოთქვა. იზოლაციონიზმი არასოდეს ახასიათებდა ქართულ ეკლესიას. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია წერდა: **„გრიგოლ ფერაძე პირველია იმ ქართველთაგან, რომელთაც განზრახული აქვთ თავისი ცოდნა და ენერგია ქართულ ეკლესიას მოახმარონ. მე, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ამ ღვთის მოსაწონ საქმეში მას კურთხევას ვაძლევ. ფერაძე პირველი თეოლოგია, რომელიც გერმანიაში მიდის, შემდეგ კი სხვებიც გაჰყვებიან მის კვალს."** სამწუხაროდ, სხვები მის კვალს საკმაოდ დიდხანს ვერ მიჰყვნენ.

როგორც ვთქვით, გრიგოლ ფერაძე წმინდანად 1995 წლის სექტემბერში შერაცხეს. თუმცა ეს გადაწყვეტილება ეკლესიას მთლად ერთსულოვნად არ მიუღია. დაარსდა კომისია ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის ხელმძღვანელობით. ეს კომისია გრიგოლ ფერაძის წმინდანად შერაცხვას შემდეგი მიზეზით ეწინააღმდეგებოდა: თურმე მღვლად ყოფნის პირველ პერიოდში გრიგოლ ფერაძე წვერს არ ატარებდა. წინააღმდეგობის რეალური მიზეზები კი ბოლო წლებში უფრო აქტიურად გაისმა: როგორ შეიძლება გრიგოლ ფერაძის წმინდანობაზე ლაპარაკი, როდესაც იგი ეკუმენური მოძრაობის წარმომადგენელი იყოო. გრიგოლ ფერაძის ხატი დღეს მხოლოდ უნივერსიტეტის ეკლესიაშია დასვენებული. იგი უნივერსიტეტის ერთადერთი კურსდამთავრებულია,

რომელიც წმინდანად შერაცხეს. ბოლო წლებში მისი ხსენების დღეს არცერთ ქართულ ეკლესიაში არ აღნიშნავენ.

ეკუმენური მოძრაობა – საშიში ტაბუ?

ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, ქართულ ეკლესიებში ეკუმენურ მოძრაობას მხოლოდ ჩურჩულით და სამგზის გადაფურთხებით თუ მოიხსენებენ და ისიც რაღაც "ჟიდომასონური," საოცრად საშიში მოვლენის ნაწილად. თუმცა, ცოტათი მაინც თუ ეცლები ამ საკითხში გარკვევას, აღმოჩნდება, რომ საშიში აქ ნამდვილად არაფერია. ეკუმენური მოძრაობა მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩაისახა. ეს იდეა პარალელურად გაჩნდა როგორც პროტესტანტულ, ასევე მართლმადიდებლურ სამყაროში. დიალოგისთვის მზადყოფნა თავდაპირველად მართლმადიდებლურმა ეკლესიამ გამოთქვა. 1910 წელს მსოფლიო პატრიარქმა წერილობით მიმართა ყველა ქრისტიანულ ეკლესიას, რომელიც ყოვლადწმინდა სამებისა და ქრისტეს ღმერთკაცობის დოგმას აღიარებს, რათა ურთიერთდაახლოებისათვის მოძრაობა დაეწყოთ. თანდათანობით ამ მოძრაობამ ორგანიზებული სახე მიიღო, მისი მთავარი მიზანია ეკლესიებს შორის რელიგიური კავშირის აღდგენა, რადგან ქრისტიანებს შორის განყოფა ქრისტიანულ მოძღვრებასა და სახარებისეულ სწავლებას ეწინააღმდეგება. ეკლესიათა გაერთიანებაში არ იგულისხმება ადმინისტრაციულ-სტრუქტურული ერთობა, ანდა რაიმე ახალი სუბორდინაციის შემოღება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ მოძრაობის გარშემო ორი საერთაშორისო კომისია ჩამოყალიბდა – ეკლესიათა მსოფლიო საბჭო და ევროპის ეკლესიათა კონფერენცია. ეს ორგანიზაციები, როგორც წესი, დიდ საქველმოქმედო პროექტებს უდგანან სათავეში და დაკავებულნი არიან ისეთი საკითხებით, როგორებიცაა ლტოლვილთა მიგრაცია, ომები, უმუშევრობა, შიმშილი, ტრეფიკინგი, ქალთა და ბავშვთa უფლებები და ა. შ. გარდა ამისა, ისინი სოლიდურ საერთაშორისო ტრიბუნებს წარმოადგენენ, სადაც პოლიტიკური საკითხების დაყენება შეიძლება. 1962 წლიდან ორივე

ამ ორგანიზაციაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ოფიციალურად მონაწილეობდა, თანაც საკმაოდ აქტიურად; ისე, რომ 1980-იანი წლების პირველ ნახევარში ეკლსიათა მსოფლიო საბჭოს თანაპრეზიდენტი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქი ილია II გახლდათ. ჩვენი საზოგადოებისათვის შედარებით უცნობი ფაქტია, რომ 80-იანი წლების დასაწყისში ჩვენმა კათალიკოს-პატრიარქმა ეს მაღალი ტრიბუნა ავღანეთში ჯარების შეყვანის წინააღმდეგ აზრის გამოსახატად გამოიყენა.

თუმცა 80-იანი წლების მიწურულიდან საქართველოს ეკლესიაში ამ მოძრაობას სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა დაუწყეს. 1997 წლის 20 მაისს საქართველოს ეკლესიამ ეს ორივე ორგანიზაცია ერთდროულად დატოვა. დეკანოზ ბასილ კობახიძის აზრით, ეს მოვლენები, ქართული ეკლესიის იზოლაციაში დასატოვებლად, რუსეთის მხრიდან იყო ინსპირირებული, რათა რუსეთს „გათიშე და იბატონეს" პრინციპით კარგად ესარგებლა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ თავად რუსები ამ მოძრაობაში აღრეც მონაწილეობდნენ და დღესაც მონაწილეობენ, ყველა სხვა მართლმადიდებელ ეკლესიასთან ერთად. **„საბჭოს წევრობაზე უარი მხოლოდ საქართველოსა და ბულგარეთს აქვს ნათქვამი. ამ ორ ეკლესიაზე რუსეთის გავლენის ძალა კი ყველასთვის ცნობილია. პირადი სტატუსით ორივე ამ ორგანიზაციაში მაინც ვმონაწილეობ ხოლმე, რათა ქართული ეკლესია რაღაცნაირად მაინც იყოს წარმოდგენილი. ივლისში ნორვეგიაში ვიყავი ევროპის ეკლესიათა ასამბლეაზე. იქ ვცადე საბოლოო დოკუმენტში ჩასაწერად აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხიც დამეყენებინა, რადგან დოკუმენტში კოსოვოსა და კვიპროსის შესახებ ჩაიდო პუნქტები, მაგრამ, როგორც კი საუბარი დავიწყე, მაშინვე რუსეთის დელეგაცია წამოხტა. ხმა ჩამაწყვეტინეს, ოფიციალური წარმომადგენელი აქ არ არის, მათ ჩვენთან ყოფნა არ უნდათ და არც ჩვენ უნდა გვქონდეს მათთან რაიმე საქმეო; რუსებმა ჩააგდეს ჩეჩნეთის საკითხიც."** – ამბობს დეკანოზი ბასილ კობახიძე.

გოეთეს ინსტიტუტის პროექტი 2004 წლის დეკემბრამდე

გრძელდებოდა. ნაჩვენები იქნა 7 ფილმი 7 ძირითად რელიგიაზე, რომლებსაც წინ პაგარა შესავალი ლექციები უძღოდა. ამ ჩვენებებს სხვადასხვა სკოლებიდან მოწვეული მოსწავლეები ესწრებოდნენ თავიანთ პედაგოგებთან და ხანდახან მშობლებთან ერთად. მათ გარდა, ყველა ჩვენებას კიდევ ესწრებოდა ხოლმე რამდენიმეკაციანი ჯგუფი, რომელიც ყოველ ჯერზე იცვლებოდა. მათი ქცევა იმდენად გამოირჩეოდა აგრესიულობით, რომ დროდადრო საქმეში ინსტიტუტის დაცვის ჩართვაც კი ხდებოდა საჭირო. ისინი არასოდეს ამბობდნენ, ვინ იყვნენ და რა ორგანიზაციას წარმოადგენდნენ, თუმცა მათ ერთი საერთო მახასიათებელი მაინც აერთიანებდათ: თავიანთი გამოსვლებისას ყოველთვის აღნიშნავდნენ, რომ სამოოთხი შვილი ჰყავთ. ამიტომ შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ეს ადამიანები „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირს" წარმოადგენდნენ, თუმცა ამის დაბეჯითებით თქმა არ შეიძლება. მათი მაღალი ყურადღების მიღმა მხოლოდ ჩინური რელიგია და ისლამი დარჩა, შესაბამისად, ამ ორმა ჩვენებამ წყნარად ჩაიარა, დანარჩენი ჩვენებები კი, როგორც წესი, მათი აგრესიული გამოსვლების ფონზე მიმდინარეობდა. იუდაიზმის შესახებ ნაჩვენებ ფილმზე მათი აღშფოთება კიუნგის ნათქვამმა გამოიწვია, რომ ღმერთი ყველასთან არის. „როგორ ბედავთ იმის თქმას, რომ ღმერთი მწვალებლებთანაც შეიძლება იყოს!" - ასეთი იყო მათი გამოსვლების ძირითადი შინაარსი. რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ენებათაღელვა ქრისტიანობის შესახებ წაკითხულმა ლექციამ და ფილმმა გამოიწვია. როდესაც ამ დაჯგუფების წარმომადგენლებს სხვა არგუმენტები აღარ დარჩათ, ისინი მომხსენებლისაგან დაბეჯითებით მოითხოვდნენ დაესახელებინა, რომელია ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგია. შემდეგ ისინი მოსწავლეებს გადასწვდნენ და მათგან ითხოვდნენ მსგავს შეკითხვებზე პასუხის გაცემას და თან მომხსენებელს ბავშვების დაბნევაში ადანაშაულებდნენ. მათი აზრით, ბავშვები უკვე ასცდნენ ჭეშმარიტების გზას და მათ უკვე აღარ იციან, რომ მართლმადიდებლობა ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგიაა და რომ კათოლიციზმი და პროტესტანტიზმი მხოლოდ საშინელი მწვალებლობაა, რომელთა სახელის ხსენებაც კი არ შეიძლება. თუმცა ამ ყველაფრის ფონზე ოპტიმიზმის საფუძველს ტოვებდა ის, რომ მოსწავლეები ატეხილი ყაყანის ფონზე ფილმებსა და ლექციებს ინტერესით უსმენდნენ და ჯანსაღი დასკვნებიც გამოჰქონდათ.

რელიგიათა საბჭოური კავშირი

08.03.04

რა შეიძლება ჰქონდეს საერთო სახელმწიფო იდეოლოგიის ლათინოამერიკულ მოდელს და დსთ ქვეყნების რელიგიათშორის ფორუმს? თითქოს არაფერი. 2-4 მარტს მოსკოვში ჩატარებული ზემოხსენებული ფორუმი, რომელსაც საქართველოში წმინდა ქეთევან წამებულის ხატისა და წმინდა ნაწილების ჩამოტანა მოჰყვა, ქართულმა მედიამ დიდი ზარ-ზეიმით გააშუქა. ზედმეტი შეკითხვა არავის გასჩენია. თითქმის არავინ დაინტერესებულა, რა არის ეს დსთ-ს ქვეყნების რელიაგიათშორისი ფორუმი, ვინ გაწევრიანდა მასში და რა მიზნებს ისახავს იგი.

პირველი შეკითხვა ბუნებრივად ჩნდება: რატომ წარმოადგენს დსთ-ს სივრცე ეკლესიებისა და რელიგიური ორგანიზაციებისათვის ისეთ ღირებულებას, რომ მის სახელს რელიგიურ გაერთიანებათა ფორუმი ატარებდეს? რამდენადაც მესმის, რელიგიები ზესახელმწიფოებრივი და ზენაციონალური მოვლენაა და, შესაბამისად, მათი პოლიტიკური პრინციპით გაერთიანება სწორი არ უნდა იყოს. მაგრამ, თუ ეს გაერთიანება მაინცდამაინც სახელმწიფოებრივ სიბრტყეზე უნდა ხორციელდებოდეს, რაღა მაინცდამაინც დსთ, რომელიც საბჭოთა კავშირის უღიმღამო ნაშიერია და მეტი არაფერი? რატომ ერთიანდებიან ამ ფორუმში მხოლოდ მართლმადიდებლები, მაჰმადიანები, იუდეველები და ბუდისტები? რატომ ეუბნებიან უარს კათოლიკეებსა და პროტესტანტებს? რატომ არ აშინებს საქართველოს ეკლესიას ეს ფორუმი, მაშინ როდესაც მან 1997 წლის 20 მაისს ყველა საერთაშორისო რელიგიური ორგანიზაცია დატოვა? დაბოლოს, რატომ მოუწყვეს ქართველებმა რომის პაპს სამარცხვინო დახვედრა იმ მოტივით, რომ ის პოლიტიკოსია და მეტი არაფერი, და რატომ ჩაერთო ახლა ასე აქტიურად ქართული ეკლესია დსთ-ს ქვეყნების პოლიტიკური პრობლემების მოგვარების საქმეში?

ყველა ამ შეკითხვას სამწუხარო, მაგრამ ერთადერთი, ლოგიკური პასუხი შეიძლება კრავდეს. თავის დროზე საბჭოთა

იმპერიას ძლიერი კომუნისტური იდეოლოგია აერთიანებდა. იმ დროს მსოფლიოში პირობითად სამი სამყარო არსებობდა: ლიბერალურ-დემოკრატიულ საფუძველზე დამყარებული ამერიკა და ევროპა, ტოტალიტარული იდეოლოგიით გამსჭვალული საბჭოთა კავშირი, მისი გავლენის ქვეშ მყოფი აღმოსავლეთ ევროპა და ისლამური აღმოსავლეთი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიო ბალანსი მრავალი თვალსაზრისით, მათ შორის ამ თვალსაზრისითაც, დაირღვა. რუსეთს თავისი იმპერიალისტური მისწრაფებების განსახორციელებელი იდეოლოგია ხელიდან გამოეცალა, თუმცა მხოლოდ დროებით. ახალმა პრეზიდენტმა, როგორც ჭკვიანმა პოლიტიკოსმა და, რაც მთავარია, გამოცდილმა „კაგებეშნიკმა", ეს ნიშა ძალიან მოხერხებულად შეავსო. შეავსო მართლმადიდებლური რელიგიით, რომლის იმპერიალისტური იდეებისათვის გამოყენების ტრადიცია რევოლუციამდელ რუსეთს ისედაც დიდი ჰქონდა.

პუტინის PR-ისტი, სტანისლავ ბელკოვსკი პირდაპირ მიუთითებს, რომ მეორე ვადის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის პრეზიდენტმა ლათინურამერიკული მოდელი – პრეზიდენტი, ეკლესია, ეროვნული გვარდია – უნდა გამოიყენოს, რომელიც უცხო არც მეფის დროინდელი რუსეთისათვის იყო. პრეზიდენტიც ამ მიმართულებით სერიოზულ ნაბიჯებს დგამს. მან შეირიგა ამერიკის რუსული მართლმადიდებელი ეკლესია, უკრაინაში ჩავიდა და მხარი დაუჭირა მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციაში მყოფ მართლმადიდებელ ეკლსიას, აქტიური მონაწილეობა მიიღო „რუსი ხალხის მსოფლიო კონგრესში", რომლის იდეური შინაარსიც დაახლოებით ასეთი იყო: რუსი მართლმადიდებლების ფრთის ქვეშ უნდა გაერთიანდნენ ყველა მართლმადიდებლური ტრადიციის ხალხები – უკრაინელები, ბელორუსები, ბულგარელები, ქართველები და ბერძნები. ახლა კი ეს ყოველივე დსთ-ს ქვეყნების ფორუმით დაგვირგვინდა. შეიქმნა რელიგიათშორისი მუდმივმოქმედი საბჭო, რომელიც სერიოზული რელიგიურ-პოლიტიკური ბერკეტია რუსეთის ხელში.

მაღალი რანგის დელეგაციები, ელჩებისა და საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ გახმოვანებული საპრეზიდენტო

მიმართვები აშკარად საბჭოთა ნოსტალგიაზე მიანიშნებს. ენაც თავანკარა საბჭოურია: „Координацию деятельности Президиума Совета и представление его интересов осуществляют 4 сопредседателя. Заседания Президиума Совета в рамках Межрелигиозных миротворческих форумов созываются не реже одного раза в три года. Текущую работу Совета, а также представление его интересов согласно делегированным Президиумом Совета полномочиям выполняет его Секретариат".

ფორუმს დსთ-ს ქვეყნების ოთხი პრეზიდენტი მიესალმა წერილობით: ვლადიმირ პუტინი, რობერტ ქოჩარიანი, ილჰამ ალიევი და მიხეილ სააკაშვილი. ოთხივე პრეზიდენტის ტექსტი ერთმანეთის მსგავსი, ასეთი ღონისძიებებისათვის შესაფერისი მოკლე მიმართვაა, თუმცა ერთმანეთისგან რაღაცით ოთხივე მათგანი მაინც განსხვავდება. პუტინის გზავნილი შემდეგია: დღეს, როდესაც მსოფლიო შეიცვალა, ტრადიციულმა რელიგიებმა (წაიკითხე მართლმადიდებლობამ) თავის თავზე ბევრი რამ უნდა აიღოს. კარგია, რომ დსთ-ს ქვეყნების რელიგიური ორგანიზაციები ინახავენ და ანაყოფიერებენ დსთ-ში შემავალი ქვეყნების კეთილმეზობლურ ტრადიციებს. ალიევი თავისი ქვეყნის სხვა რელიგიათა მიმართ ტოლერანტობის ტრადიციას უსვამს ხაზს და იმედს გამოთქვამს, რომ ფორუმი ყარაბაღის პრობლემის მოგვარებაში შეიტანს მნიშვნელოვან წვლილს. სომხეთის პრეზიდენტი საკუთარ თავს პირველი პირის მრავლობითი რიცხვით გამოხატავს და ამით მოსკოვში მიმდინარე პროცესებისადმი ღრმა მოწიწებას აღასტურებს. პრეზიდენტი სააკაშვილი „გაჭირვებულ ხალხს" თავის ამ მიმართვაშიც არ ივიწყებს და გამოთქვამს იმედს, რომ ეს ფორუმი ჩვენი ქვეყნების ტერიტორიაზე იძულებით გადაადგილებულ და ლტოლვილ ღარიბ მოსახლეობას საკუთარ სახლებში დაბრუნების საქმეში დაეხმარება.

მოკლედ, თავის სათქმელს ყველა თავისებურად ამბობს, ყველაზე მნიშვნელოვანი კი მაინც პუტინის მიმართვაა, რომლის იდეური გაგრძელებაც ფორუმის მიერ მიღებული საბოლოო დოკუმენტია. თითქოს გაკვრით, მაგრამ დოკუმენტში წერია, რომ

რელიგიათშორისი ურთიერთობის ეს მოდელი მისაბაძი უნდა გახდეს მთელი მსოფლიოსათვის, რომ დღეს არსებობს საშიშროება, მსოფლიოს თავს მოახვიონ რაღაც გაურკვეველი ერთიანი მოდელი (იგულისხმება მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი), ეს ფორუმი კი ამ უსახო გაერთიანების ძლიერ ალტერნატივად იქცევა, რომელიც ერთიანობის პირობებში ერებსა და რელიგიებს საკუთარ სახეს არ დააკარგვინებს. ყოველივე ამის სულისჩამდგმელი და გამტარებელი კი, რა თქმა უნდა, რუსეთი და მისი მართლმადიდებელი ეკლესიაა. დოკუმენტში ქვა იმათ მიმართაცაა ნასროლი, ვინც აგრესიულ პროზელიტიზმს ეწევა, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმათ მიმართ, ვინც საკუთარ რელიგიას ქადაგებს. საერთოდ ქადაგება და მქადაგებლები იმისთვის არსებობენ, რომ იქადაგონ, თანაც რაც შეიძლება დაჟინებით, რომ სხვები საკუთარ სიმართლეში დაარწმუნონ. რამდენადაც ვიცი, ცეცხლითა და მახვილით შუა საუკუნეების შემდეგ არც ერთი რელიგია არ გავრცელებულა. რატომ გაუჩნდათ 21-ე საუკუნეში ფორუმის წარმომადგენლებს პროზელიტიზმისადმი ისეთი შიში, რომ იგი საბოლოო დოკუმენტშიც მოიხსენიეს, გაუგებარია. კრიტიკა არც ჟურნალისტებს ასცდათ – მათ, ვინც ბოლო დროს მედიის საშუალებებით ტრადიციულ რელიგიებს „აუგად" მოიხსენიებს. რაც შეეხება კათოლიკეებსა და პროტესტანტებს, როგორც პროდასავლური განწყობილების მატარებლებს, მათ არც დოკუმენტში მოხსენიებისა და არც თავად ფორუმში მონაწილეობის მიღების პატივი რგებიათ წილად.

ფორუმის პრეზიდიუმი, რომლის წევრი ჩვენი ეკლესიის კათაალიკოს-პატრიარქიცაა, სამ წელიწადში ერთხელ შეიკრიბება. შუალედებში კი ფორუმს აღმასრულებელი კომიტეტი უხელმძღვანელებს. ამ უკანასკნელის თავმჯდომარე სმოლენსკისა და კალინინგრადის მიტროპოლიტი კირილე იქნება, რომლისგანაც აფხაზები თავის დროზე სოხუმისათვის დამოუკიდებელი ეპისკოპოსის მივლინებას ითხოვდნენ. სწორედ მას მიეცა საშუალება, სამი წლის განმავლობაში ამ დიდი ორგანიზაციის სახელით გააკეთოს ნებისმიერი განცხადება, მათ შორის, ბუნებრივია, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელითაც.

2004 წლის მარტის შემდეგ იმავე იდეოლოგიით გამსჭვალული არაერთი ფორუმი ჩატარდა. რუსეთის, როგორც მართლმადიდებელ სახელმწიფოთა ლიდერის იდეას ე. წ. „ევრაზიული იდეოლოგიაც" გამოხატავს – არც მთლად ევროპული და არც მთლად აზიური, მართლმადიდებლურ მოწყობაზე დაფუძნებული რუსეთი მის გარშემო შემოკრებილი მართლმადიდებელი ქვეყნების გაერთიანებასა და წინამძღოლობას კისრულობს. ეს იმპერიალისტური იდეოლოგია აღრე მე-20 საუკუნის დასაწყისის რუსულ ემიგრაციაში იყო აქტიური. დღეს კი იგი პოპულარული რუსული პოლიტიკური ელიტის წრეშია. როგორც ამბობენ, თავად პუტინს ამ წრეში ნეოევრაზიელად მოიხსენიებენ. ამ იდეოლოგიის აქტიური აპოლოგეტია, მაგალითად, ალექსანდრე დუგინი, რომელიც ხშირად საჯაროდ გამოდის ხოლმე საქართველოს წინააღმდეგ აფაზეთისა და ოსეთის დასაცავად. ამ იდეოლოგიის პროპაგანდისათვის კრემლისა და მოსკოვის საპატრიარქოს მხარდაჭერით იქმნება ფონდები, რომლებსაც ფინანსური უზრუნველყოფის მოსაპოვებლად, როგორც წესი, მსხვილი ბიზნესმენები უღგანან სათავეში. მაგალითად, ანდრია პირველწოდებულის ფონდის დირექტორი ბანკ „მილენიუმის" ხელმძღვანელი მელნიკია. კიდევ ერთ ასეთ – „მართლმადიდებელ ხალხთა ერთიანობის" – ფონდს საქართველოს საპატრიარქოსთან დაახლოებული პროფესორი ალექსეევი უდგას სათავეში. ამ ფონდების დაფინანსებით შარშან კუნძულ როდოსზე გაიმართა კონფერენცია – „კულტურათა დიალოგი", რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მიხეილ ლეონტიევი და მსგავსი მსოფლმხედველობის მქონე ჟურნალისტები და პოლიტიკური თუ რელიგიური მოღვაწეები. საქართველოს მხრიდან კონფერენციას ჩვენი საპატრიარქოს წარმომადგენლები და ბატონი თემურ ალასანია ესწრებოდნენ. შემდეგ, როგორც გვახსოვს, მსგავსი სახელმწოდების კონფერენცია საქართველოშიც გაიმართა. ამ გაზაფხულზე კი მოსკოვში კულტურათა და რელიგიურ მოღვაწეთა ფორუმი მოეწყო. მასში მონაწილეობას ქალბატონი გიული ალასანია იღებდა, როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „ევრაზიული პლატფორმის" წარმომადგენელი.

დსთ, ევროპა, აფხაზეთი და ჩვენი ეკლესია

20.03.04

რომელია ჩვენი ეკლესიის სიერცე – დსთ თუ ევროპა? რატომ წყვეტს რუსული ეკლესია ჩვენს სამოქმედო პოლიტიკას და რა გამოვიჩინეთ აფხაზური ეკლესიის მიმართ – სისუსტე თუ ლმობიერება?

ორშაბათს, 22 მარტს, მოსკოვში ოფიციალურად გაიხსნება ევროპის რელიგიურ ლიდერთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ევროპის გამოჩენილი სულიერი ლიდერები: ბრიუსელის არქიეპისკოპოსი კარდინალი გოდფრიდ დენიელსი (ბელგია), ლუთერანი ეპისკოპოსი ოსლო გუნარი (ნორვეგია), მსოფლიო რელიგიათა კონფერენციის გენერალური მდივანი უილიამ ვენდი (აშშ), საფრანგეთის მთავარი რაბინი რენე სირატი, ბოსნიის მთავარი მუფტი მუსტაფა ცერიჩი და სხვები. სხდომის წევრები სხვა საერთაშორისო რელიგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთობების საკითხებზე ისაუბრებენ, ასევე განიხილავენ რელიგიათა, კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგისა და განვითარების პრესპექტივებს. რელიგიურ ლიდერთა ევროპული კავშირი 2002 წელს დაარსდა. ამ კავშირის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და მისი საორგანიზაციო კომიტეტის თანათავმჯდომარე სმოლენსკისა და კალინინგრადის მიტროპოლიტი კირილე გუნდიაევი გახლავთ. მიტროპოლიტი კირილე ასევე დსთ-ს ქვეყნების რელიგიათშორისი საბჭოს თავმჯდომარეა.

ჩვენი გაზეთის მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ დსთ-ს ქვეყნების რელიგიათაშორისი ფორუმი მოსკოვში მარტის დასაწყისში გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ბევრი კათოლიკე და პროტესტანტი ცხოვრობს, ფორუმის ორგანიზატორებს მათი წარმომადგენლები არ მიუწვევიათ. უფრო მეტიც, მიტროპოლიტმა კირილემ პირდაპირ განაცხადა, რომ „იმპორტირებული რელიგიები არ სჭირდებათ". მაგრამ ამას მისთვის ხელი სულაც არ შეუშლია, რელიგიურ ლიდერთა ევროპული კავშირის დაარსების ინიციატორი

ყოფილიყო.

ორმაგი სტანდარტებით ოპერირება რუსეთის პოლიტიკური თუ რელიგიური წრეებისათვის უცხო არ არის. შესაძლოა, ამაზე კიდევ ერთხელ ყურადღების გამახვილება არც ყოფილიყო საჭირო, ეს ყოველივე ჩვენ და ჩვენს ეკლესიას ორმაგად რომ არ გვეხებოდეს. საბჭოთა კავშირის პერიოდში ჩვენთვის „о в европу" რუსეთი იყო. ვიზები, განათლების მიღება, ლიტერატურის მოპოვება - ყველაფერი რუსეთის გზით ხდებოდა. ფორმალურადაც და არაფორმალურადაც ისინი წყვეტდნენ, რა დოზით შემოეშვათ ჩვენთან ევროპა. დაახლოებით იგივე ხდება დღესაც, ოღონდ ახლა რელიგიურ სფეროში. რუსეთის ეკლესიამ გადაწყვიტა, რომ ჩვენი ადგილი დსთ-ს ქვეყნების საერთაშორისო ფორუმშია, ევროპის ქვეყნების სულიერ ლიდერთა შეხვედრაზე კი ჩვენი ქვეყნის პატრიარქისათვის ადგილი არ გამოიძებნა. მასში მხოლოდ ნამდვილი ევროპელები - დანიელები, ბელგიელები, ფრანგები და... რუსები მონაწილეობენ.

ასე რომ, ევროპის რელიგიურ ასპარეზზე გასვლის მონოპოლია ისევ და ისევ რუსეთის ხელში რჩება, თანაც მიტროპოლიტ კირილეს ხელში, რომელიც ორივე – დსთ-სა და ევროპის რელიგიურ საბჭოთა თავჯდომარეა. როგორც რუსულ პრესაში ამბობენ, მიტროპოლიტი კირილე ორი რამითაა ცნობილი – „გენეტიკური მართლმადიდებლობის" თეორიითა და მეტსახელით „თამბაქოს მიტროპოლიტი", რადგან 90-იან წლებში შენიშნული იყო უაქციზო სიგარეტით მაქინაციებში. სხვათა შორის, კირილე გუნდიაევი ის პიროვნებაა, ვისაც 1992 წელს აფხაზმა სეპარატისტებმა თხოვნით მიმართეს სოხუმში დამოუკიდებელი ეპისკოპოსის დასაყენებლად.

მარტის დასაწყისში, დსთ-ს ფორუმზე რუსეთის მხარის მიერ მღვდელი ბესარიონ ფილიაც იყო მიწვეული, რომელმაც ახლა გვარი აპლიათი შეიცვალა და სოხუმის ეპარქიის მმართველად წარმოდგება. იმ დღეებში, საეკლესიო კანონების უხეში დარღვევით, მას უფლება მიეცა მოსკოვის მაცხოვრის ტაძარში ალექსი მეორის მიერ ჩატარებულ მღვდელმსახურებაში მიეღო მონაწილეობა. შემდეგ კი გაიმართა ტრაპეზი, სადაც ალექსი მეორემ

და აპლიამ აფხაზეთისა და რუსეთის ურთიერთობებზე ისაუბრეს, ამას კი მოსკოვში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია მეორის, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელისა და ბესარიონ აპლიას შეხვედრა მოჰყვა.

ზოგიერთ ქართულ გაზეთში ათწლიანი პაუზის მერე შემდგარი ეს შეხვედრა „აფხაზი სეპარატისტების სრულ კაპიტულაციად" მოინათლა. თუმცა რუსული და აფხაზური მედიის საშუალებებით ვრცელდება ინფორმაცია, რომ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ და მიტროპოლიტმა დანიელმა ბესარიონ აპლიას უფლება მისცეს, რომ მართოს ცხუმ-აფხეზეთის ეპარქია და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები. **„ქართველი იერარქები აღიარებენ ჩემს არსებობასა და ლეგიტიმურობას"** – აცხადებს იგი ÀÁÕÀÇÈß.ორგ-ის საიტზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში და დასძენს, რომ შეხვედრისას საუბარი აფხაზეთის ავტოკეფალური ეკლესიის „აღდგენაზეც" იყო. მანამდე კი ღვთისმსახურებისას ყველა აფხაზურ ტაძარში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი II მოიხსენიება.

ბესარიონ აპლია ღღესაც მოსკოვის ხშირი სტუმარია. ამ წლის სექტემბერში იგი ღსთ ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორის, კონსტანტინე ბატულინის მიერ მოწყობილ კონფერენციაშიც იღებდა მონაწილეობას. ეს კონფერენცია რეალურად ღსთ ქვეყნების ტერიტორიაზე არსებული ავტონომიების წარმომადგენელთა იმ მიზნით გამართული შეკრება იყო, რომ მათ რუსეთთან შეერთება მოეთხოვათ. შესაბამისად, თუ აფხაზეთის საერო ღელეგაცია მოსკოვში რუსეთთან შეერთებას ითხოვდა, ბესარიონ აპლიას რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისაგან ეპისკოპოსის დანიშვნა სურდა.

შეეწიეთ თქვენი შვილების სულებს და ღმერთი თქვენ შეგეწევათ

PR და ბიზნესი საქართველოს საპატრიარქოში

06.11.04

რამდენიმე დღის წინ „საპატრიარქოს უწყებანში" N 37 (295) დაიბეჭდა და შემდეგ ტელევიზიების მეშვეობითაც გავრცელდა საპატრიარქოს მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი. მიმართვის თანახმად, საპატრიარქო ყაზბეგში წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრის მშენებლობას აპირებს და ამ საქმის განსახორციელებლად განსაკუთრებით შვილგარდაცვლილ მშობლებს მიმართავს, რათა ისინი ამ საქმეში ფულის ჩადებით თავიანთი შვილების სულებს შეეწიონ. **„შეეწიეთ თქვენი შვილების სულებს და ღმერთი თქვენ შეგეწევათ,"** – ასეთია საპატრიარქოს მიმართვა. რომელმა პიარტექნოლოგმა მოიგონა ეს ფრაზა, ძნელი სათქმელია, თუმცა ფაქტია, რომ მსგავსი ფორმულით შედგენილი ფრაზები ჩვენი ტელევიზიების სარეკლამო რგოლებში ხშირად ისმის ხოლმე. მაგალითებს არ მოვიყვანთ, რადგან ამ თემაზე სიცილი არ ღირს. თუმცა გაიცინებ თუ - არა, ცხადია, რომ საპატრიარქო მორიგი ტაძრის ასაშენებლად ფულს ისევ მოსახლეობას სთხოვს და თანაც შვილგარდაცვლილ მშობლებს. ბევრი ალბათ ფიქრობს, რომ საპატრიარქოს ამ ნაბიჯის გადადგმას უსახსრობა აიძულებს, თუმცა დროა, ითქვას სიმართლე და მოსახლეობამ იცოდეს, რომ ჯერ კიდევ 1994-95 წლებიდან მოყოლებული, საპატრიარქო თავის ფართო და საკმაოდ შემოსავლიან ბიზნესს აწარმოებს.

1994 წლის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის 18.09.94 N03-1-7 ბრძანებულებით, „საპატრიარქოს მიერ საკუთარი სახსრებით შექმნილი საწარმოები და ორგანიზაციები, საეკლესიო დანიშნულების პროდუქციის მწარმოებელი საწარმოები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადისაგან, აგრეთვე სახელმწიფო ბაჟისაგან, სავალუტო და საშემოსავლო გადასახადებისაგან". ეს ორგანიზაციებია: საქართველოს საპატრიარქოს საფინანსო საბჭო,

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განყოფილება, სამრეწველო განყოფილება, ხაშმის ღვინის ქარხანა, ბათუმის ეპარქიის სამეურნეო განყოფილება, ბათუმის სასულიერო გიმნაზიის სამეურნეო განყოფილება (ყოფილი ფირმა „კანდელი"), საქართველოს საპატრიარქოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განყოფილების ბათუმის ფილიალი და ბევრი სხვა.

ჩვენს ხელთ არსებობს საგადასახადო დეპარტამენტის საბუთები, რომელიც ადასტურებს, რომ 1994-95 წლებიდან მოყოლებული, სწორედ ამ ორგანიზაციებს შემოჰქონდათ და გაჰქონდათ რამდენიმე ასეული მილიონის ღირებულების საქონელი. ამ საქმეში ყველაზე აქტიური საპატრიარქოს ფინანსური საბჭო, საგარეო ეკონომიკური კავშირების განყოფილება, ამ განყოფილების ბათუმის ფილიალი, ფირმები, „შემწე", "კანდელი" და ბათუმ-შემოქმედის სამეურნეო განყოფილება იყო. მოკლედ რომ ვთქვათ, საქართველოს საპატრიარქომ მხოლოდ ამ წლებში თურქეთიდან, სირიიდან და უნგრეთიდან უხვად შემოიტანა სპირტი, ლუდი, ბენზინი, კოლა-კოლა, სიგარეტი, კვერცხი, მაკარონი, არომატული სასმელები და ბევრი სხვა რამ. მაგალითად, ფირმა „კანდელმა", რომელიც პატრიარქის ძმისწულის, დიმიტრი შიოლაშვილის მიერ დაარსებულ ბათუმის სასულიერო გიმნაზიასთან თანაარსებობდა, 1994 წელს თურქეთიდან საქართველოში ერთხელ 20240 აშშ დოლარის ღირებულების, მეორედ 4950, მესამედ კი 8323 აშშ დოლარის ღირებულების მხოლოდ სპირტი შემოიტანა. ამ წლებში საქართველო „ლამის დაახრჩო" საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ფირმა "შემწეს" მიერ შემოტანილმა ლუდმა. ეტყობა, ამ სახით შემწეობა უნდა აღმოეჩინათ, იმ წლებში განსაკუთრებით დამშეული ჩვენი მოსახლეობისათვის. სხვათა შორის, ფირმა „შემწე" გადასახადებისაგან გათავისუფლებულ ორგანიზაციათა სიაში შეყვანილი არ არის. მაგრამ, მერე რა, „საერთო ქვაბში" ისიც ადვილად მოიხარშა. ლუდის შემოტანაში „შემწეს" არც „კანდელი" ჩამორჩენია, ამ უკანასკნელმა ასევე არყის, ღვინისა და სიგარეტის ბიზნესშიც იმარჯვა. 1995 წელს მათ 61500 დოლარის ღირებულების მხოლოდ სიგარეტი შემოიტანეს. ეს საპატრიარქოს „სავაჭრო არსენალის"

სიის მხოლოდ მცირე ჩამონათვალია. წლებში, როდესაც საქართველოს მოსახლეობას განსაკუთრებით უჭირდა, საპატრიარქოს შემოჰქონდა გაყინული ქათმების მაცივრები, შაქარი, მაიონეზი, ფქვილი, ცემენტი, ბენზინი და ბევრი სხვა. მოგეხსენებათ, არც იმ წლებში და არც შემდეგ საპატრიარქოს სახელით საქველმოქმედო ფასებში გაყიდული ანდა უფასოდ დარიგებული საქონელი არავის ახსოვს – ეს ჩვეულებრივი ბიზნესი იყო და თანაც ძალიან მომგებიანი, რადგან ის თავისუფალი იყო ყოველგვარი გადასახადისგან.

ახლა რაც შეეხება ექსპორტს. იმპორტიორი ქვეყნები თურქეთი და რუსეთია, გასატანი საქონელი კი: ჯართი და შავი ლითონის ნარჩენები, სილიკომანგანუმი და ფეროსილი, „ბალვანკა", რკინის ნაკეთობები, ალუმინის დაუმუშავებელი ზოდები, პირუტყვის ტყავი, ფოლადის მილები, ლიანდაგის გადასაყვანები, ნაგლინი, ძარები, საღებავები და ა.შ. ეს პროდუქცია ძირითადად თურქეთში გადიოდა, მოსკოვს კი მრავალი ათასი დოლარის ღირებულების კონიაკ „არაგვით" ამარაგებდნენ. რახან სიტყვა რუსეთზე ჩამოვარდა, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ საქმეებში საქართველოს საპატრიარქო თავისი „დიდი ძმის" დარად იქცევა, ოღონდ რუსეთის საპატრიარქოს უფრო ფართო მასშტაბები აქვს. როგორც ცნობილია, ისინი ალმასებითაც კი ვაჭრობენ.

შესაძლოა, გაჩნდეს აზრი, რომ ამ ბიზნესს საპატრიარქოს სახელით გარკვეული ბიზნესდაჯგუფებები აწარმოებდნენ, ამ გზით გადასახადისაგან თავისუფლდებოდნენ და შემდეგ წილს საპატრიარქოს უხდიდნენ. თავისთავად, ამგვარი რამეც დასაშვებია, მაგრამ ის საქმიანობა, რომლის შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ, უშუალოდ საპატრიარქოსა და მისი განყოფილებების ბიზნესია. ამ საქმეებს ძირითადად სათავეში საპატრიარქოს საგარეო ეკონომიკური კავშირების განყოფილება და საპატრიარქოს საფინანსო საბჭო ედგა. საგარეო ეკონომიკური კავშირების განყოფილებას მაშინ თეიმურაზ მათიაშვილი ხელმძღვანელობდა, რომლის გვარიც, სხვათა შორის, ხაშმის საქმეშიც ფიგურირებს (საქმე ეხება სოფელ ხაშმში ჩოლოყაშვილების სასახლისა და სასახლის კარის ეკლესიის დაგირავებას). კლერიკალური

წრეებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ ეს პირი პატრიარქის რეფერენტის, ქალბატონ შორენა თეთრუაშვილის კადრი იყო. რაც შეეხება საპატრიარქოს საფინანსო საბჭოს, საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური ორგანოს „საეკლესო კალენდრის" მიხედვით, მისი ხელმძღვანელი მევლუდ ეგრისელაშვილი იყო, თუმცა თავად მან წარმოადგინა საბუთი, რომლის მიხედვითაც იგი 1994 წლის 1 იანვრიდან საპატრიარქოში აღარ მუშაობს. პატრიარქის მდივანს, დეკანოზ მიქაელ ბოტკოველს გაუჭირდა გაეხსენებინა, არსებობდა თუ არა საერთოდ 1994-95 წლებში საპატრიარქოს საფინანსო საბჭო და ვინ ედგა მას სათავეში.

საქართველოს საპატრიარქოს საფინანსო საბჭოს ახლანდელი თავმჯდომარე, დეკანოზი ზაქარია მაჩიტაძე თვლის, რომ, თუ ეს საქმიანობა კანონმდებლობით დაშვებული იყო, იგი საპატრიარქოსაც შეეძლო ეწარმოებინა. რაც შეეხება მორალურ მხარეს, იგი ამგვარ პასუხისმგებლობას ამ საქმეების მწარმოებლებს აკისრებს: – „**მათ უნდა გაგვცენ პასუხი კითხვაზე, რამდენადაა მორალურად გამართლებული იმ საგნებით ვაჭრობა, რასაც ეკლესია კრძალავს**". რაც შეეხება ამ საქმეებთან პატრიარქის რეფერენტის კავშირს, მამა ზაქარია ამბობს, რომ ქალბატონი შორენა არ არის ისეთი საშიში ქალი, როგორადაც მას საზოგადოებას წარუდგენენ. – „**იგი ჩვეულებრივი, რიგითი ქალია, რომელიც თავისი ქალური თუ ინტელექტუალური ერთგულებით ემსახურება საქართველოს ეკლესიას. ქალბატონი შორენა ვერაფრით ვერ იქნება ის პიროვნება, რომელსაც ასეთი ძალა და ავტორიტეტი აქვს საქართველოს ეკლესიაში. შესაძლოა, პატრიარქს ვინმემ რაიმე რეკომენდაცია გაუწიოს, მაგრამ ყველა პიროვნების დანიშვნა უშაუალოდ პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ხდება**".

დეკანოზი ზაქარია მაჩიტაძე ბოლო წლებში საპატრიარქოს მიერ ამგვარი ბიზნესის წარმოებას კატეგორიულად უარყოფს, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა ტიპის იმპორტ-ექსპორტი ხორციელდება ახლა საპატრიარქოში, ოფიციალური წერილობითი მიმართვა სჭირდება: – „**ჩვენ დამალული არაფერი გვაქვს, მოგვმართეთ ოფიციალურად და პატრიარქის ლოცვა-კურთხევის**

შემდეგ ამ ინფორმაციას აუცილებლად მოგაწვდით" – განაცხადა მამა ზაქარიამ.

ისეთ იერარქიულ სისტემაში, სადაც ინფორმაციაც კი არ გაიცემა პატრიარქის ლოცვა-კურთხევის გარეშე, 1994-95 წლებში წარმოებული ბიზნესისათვის რატომ უნდა დაეკისროს მორალური პასუხისმგებლობა მხოლოდ ამ საქმის უშუალო შემსრულებლებს, ძნელი სათქმელია.

ამ წერილის გამოსვლის შემდეგ „24 საათში" სასულიერო აკადემიის 23 სტუდენტის ღია წერილი დაიბეჭდა, სადაც ისინი ეკლესიისაგან მრავალ პრობლემურ საკითხზე ითხოვდნენ პასუხის გაცემას. ამ წერილს მედიაშიც და საზოგადოებაშიც დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ოღონდ ამ თემაზე საუბარი ორ თვეში შეწყდა, რადგან გაიმარჯვა მოსაზრებამ, რომ მედიასა და საზოგადოებას არა აქვს ეკლესიის შიდა საქმეებში ჩარევის უფლება. საქართველოში ამ თემაზე ისევ აღარ ლაპარაკობენ, სამაგიეროდ , 2005 წლის იანვრიდან მოყოლებული, საბერძნეთის პრესაში დაიწყო სერიოზული სკანდალები საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალი რანგის სასულიერო პირების ქმედებათა გამო, რასაც რამდენიმე მიტროპოლიტის გადადგომა და რამდენიმე სასულიერო პირის დაპატიმრებაც კი მოჰყვა. ამ საქმეებთან ერთად ამოტივტივდა იერუსალიმის პატრიარქის, ირინეოსის სახელიც, რომელიც აღრე იერუსალიმის საპატრიარქოს წარმომადგენელი იყო ათენში. ირინეოსი მხილებულ იქნა საერთაშორისო დონის ნარკოვაჭრებთან კავშირში და კორუფციულ გარიგებებში. მას იერუსალიმში საპატრიარქოს კუთვნილი უძრავი ქონების გაყიდვაც დაბრალდა. ამისათვის იერუსალიმის ეკლესიის წმინდა სინოდმა იერუსალიმის პატრიარქი გადაყენა, თუმცა მან ეს გადაყენება არ მიიღო და დაიწყო კონფლიქტი. ამ კონფლიქტის გამო, 2005 წლის 24 მაისს კონსტანტინოპოლისა და მსოფლიო პატრიარქმა, ბართოლომეოს პირველმა, რომელსაც სრულიად მართლმადიდებელ ეკლესიათა კრების მოწვევის პრივილეგია აქვს, სტამბულში სრულიად მართმადიდებელ ეკლესიათა კრება მოიწვია, რომელმაც ირინეოსის გადაყენების შესახებ იერუსალიმის ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილება დაადასტურა. მართლმადიდებელ

ეკლესიათა კრება ერთსულოვანი იყო ერთადერთი გამონაკლისის გარდა – ყველასგან განსხვავებით, ირინეოსს მხარი მხოლოდ საქართველოს ეკლესიამ დაუჭირა. ჩვენი საპატრიარქო დანარჩენ მართლმადიდებლურ სამყაროს იმდენად დაუპირისპირდა, რომ სინოდის 27 ივნისის დადგენილებაში სრულიად მართლმადიდებელ ეკლესიათა კრება სტამბულის შეკრებად მოიხსენიეს, მანამდე კი ოფიციალური განცხადებებში იერუსალიმის წმინდა სინოდს ანტიეკლესიურ დაჯგუფებას უწოდებდნენ...

საბერძნეთის ეკლესიის მთავარეპისკოპოსი ქრისტოდულოსი გამოვიდა და საზოგადოების წინაშე საჯარო ბოდიში მოიხადა. მან თქვა, რომ ეკლესიაში თვითგანწმენდის პროცესი უნდა დაიწყოს. საბერძნეთში ჩაითვალა, რომ მედიაში ავორებული კრიტიკული ტალღა ჯანსაღი მოვლენა იყო, რომელმაც ეკლესიას კორუფციული ელემენტებისაგან გათავისუფლებაში შეუწყო ხელი... ჩვენთან და სხვაგან განვითარებულ პროცესებს შორის კავშირები მკითხველმა თავად დაამყაროს.

რისი თქმის უფლება აქვს სასულიერო აკადემიის სტუდენტს?

რისი თქმის უფლება აქვს მღვდელს?

13.11.04

– ეს არ გადაიღო, ბიჭო! ქართველი არა ხარ! ამის ჩვენება არ შეიძლება! ხო არ გინდა ახლა, კამერა დაგიმტვრიო! – ასე იცავდა სასულიერო აკადემიის პრესტიჟს მისი სტუდენტების ის ნაწილი, რომლის აზრით, ის, რაც ეკლესიაში ხდება, „გარეთ" არ უნდა გავიღეს.

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 83.9% მართლმადიდებელია. აქვთ თუ არა მათ უფლება, იცოდნენ, რა ხდება საქართველოს საპატრიარქოში? ყოველთვის მეგონა, რომ ამ კითხვაზე პასუხი ცალსახად დადებითი იქნებოდა – თურმე, ნურას უკაცრავად. ის, რაც ეკლესიაში ხდება მხოლოდ ეკლესიის შიდა პრობლემა ყოფილა და მისი გარეთ გატანა არ შეიძლება. რას ნიშნავს „გარეთ"? სად მთავრდება ეკლესია? სად არის მისი ზღვარი და სად არის მისი „გარეთ"? ნუთუ ეს „გარეთ" ხალხია, ის 83.9%, რომელიც თავს მართლმადიდებლად მიიჩნევს? თუ ეს ხალხი „გარეთაა", მაშინ რა არის ეკლესია? მხოლოდ ცარიელი კედლები და ის სასულიერო პირები, რომლებიც თვლიან, რომ სხვები „გარეთ" არიან? ყოველთვის მეგონა, რომ ღვთის მთავარი ტაძარი თავად ადამიანი იყო – თურმე, ნურას უკაცრავად. საქართველოში საქმე სხვაგვარად ყოფილა. ღვთის სიტყვაზე მონოპოლია მხოლოდ საპატრიარქოსა და სასულიერი აკადემიის მაღალი ეშელონების წარმომადგენლებს ჰქონიათ. ეს სასულიერო სემინარიის 1994 წლის წესდებაშიც ყოფილა დაფიქსირებული. წესდების მიხედვით, „სტუდენტი ვალდებულია რექტორთან შეათანხმოს იმ წერილის, სტატიისა და ინტერვიუს ტექსტი, რომელიც მართლმადიდებელი ეკლესიის სარწმუნოებრივ, კანონიკურ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს ეხება". ეს წესდება, რომელსაც, სხვათა შორის, სემინარიისა და აკადემიის სტუდენტთა უმრავლესობა გუშინდლამდე არ იცნობდა, ათი წლის განმავლობაში მხოლოდ მოსწავლეებზე ვრცელდებოდა.

წელს კი ეს წესი ყველა სასულიერო პირზე გავრცელდა. როდესაც, ამ ბაფხულს მამა გიორგი ჩაჩავას „რუსთავი 2"- სათვის მიცემული ინტერვიუს გამო სხვა მღვდელმა მანქანა დაუმტვრია და შეურაცხყოფა მიაყენა, საპატრიარქომ პრობლემის გადაჭრის საკმაოდ „ეფექტური" გზა იპოვა: პატრიარქის კურთხევის გარეშე ინტერვიუს მიცემა ყველა მღვდელს აეკრძალა.

ამას წინათ ჩემს ძმასთან მეგობარი მოვიდა – მანქანა დამიმტვრიეს, გაჩერებული ვიყავი და უკნიდან დამეჯახნენო. – რა ქენი მერე, არ აკეთებინებ? – ბუნებრივი შეკითხვა დაუსვა ჩემმა ძმამ. – არა ბიჭო, მღვდელი იყო და ვერაფერი ვუთხარი. პოლიციელი რომ მღვდელს ხელს არ ახლებს, როგორი დანაშაულიც არ უნდა ჩაიდინოს მან, ამას თავად პოლიციელები აღიარებენ. ყველაზე სასაცილო კი ის არის, რომ სასულიერო პირების ხელშეუხებლობისა ჟურნალისტების უმრავლესობასაც სჯერა.

– **როგორი დამნაშავე და ცოდვილიც არ უნდა იყოს მღვდელი, მრევლის მხრიდან მისი განკითხვა კიდევ უფრო დიდი ცოდვა იქნება** – განაცხადა გიორგი ჩაჩავას ინციდენტთან დაკავშირებულ პრესკონფერენციაზე ერთ-ერთმა მათგანმა. გუშინ იგივე ჟურნალისტები სასულიერო აკადემიის იმ სტუდენტებს კიცხავდნენ, ვინც, მათი აზრით, აკადემიაში განხეთქილება შეიტანა და ის პრობლემები, რაც საპატრიარქოში არსებობს, სააშკარაოზე გამოიტანა. პრობლემები კი ასეთია: გაუნათლებელი, კრიმინალური წარსულის მქონე, ნარკომანი მღვდლები, სიგარეტითა და სპირტიანი სასმელებით ვაჭრობა, ნაციონალ-მესიანისტური იდეების გავრცელება, მრევლისგან, სხვა ეკლესიებისგან იზოლირება და სხვა. ნუთუ ეკლესიაში განხეთქილება მხოლოდ იმ სტუდენტების წერილმა შეიტანა, რომლებმაც ბოლოს სიმართლის თქმა განიზრახეს? ნუთუ მორწმუნეთა გულებში ეჭვსა და ბზარს ის ხმები არ ბადებდა, რომლებიც საზოგადოებაში ამ წერილის გამოქვეყნებამდე ბევრად უფრო ადრე დადიოდა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აკადემიის ზოგი სტულენტი კორინთელთა მიმართ ეპისტოლეს იშველიებს, თუმცა შემდეგ სხვა დროსა და სივრცეში ხტება და რატომღაც ჰგონია, რომ გრიგოლ ხანძთელის დროს სასულიერო აკადემია არსებობდა. თუმცა მათი ლოგიკის ეს „მარგალიტები" ძალიან შორს

წაგვიყვანს. ეს სხვა საუბრის თემაა.

გუშინ სასულიერო აკადემიაში საბოლოო განაჩენი იმ სტუდენტებს გამოუტანეს, ვინც ჩვენს გაზეთში ეკლესიის პრობლემებზე ღიად ალაპარაკდა. ჯერ რექტორთან მათი ცალ-ცალკე შეყვანა და ისე დაკითხვა სურდათ, მაგრამ პრესის წარმომადგენელთა მრავალრიცხოვნებამ და რამდენიმე სასულიერო პირის აქტიურობამ ეს გეგმა ჩაშალა. საბოლოო განაჩენი ასეთია: სტუდენტებმა მკაცრი საყვედური მიიღეს. ისინი სასწავლებელში პირობით დარჩნენ და იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი ქმედების ჩადენას ისევ დააპირებენ, მათ სასწავლებლიდან გარიცხავენ. თუმცა ეს გასაკვირი ალბათ არ არის – სანამ ჩვენს ქვეყანაში ისე აზროვნებენ, როგორც ჩემი ძმის მეგობარი, „ღვთის შიშის მქონე" პოლიციელები და მღვდელთა ხელშეუხებლობის იღეით გატაცებული ჟურნალისტები, ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაცია დაიტოვებს უფლებას თავისუფალი სიტყვის თქმისათვის სტუდენტებს გარიცხვით დაემუქროს.

გუშინ საღამოსვე კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევით ცენტრში სამოქალაქო საბჭოს წევრები შეიკრიბნენ. აქვე იყვნენ სასულიერო აკადემიის სტუდენტები და მათი მხარდამჭერი სასულიერო პირები. მათ წერილობით მიმართეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, რათა მან მიმდინარე პროცესების მიმართ თავისი დამოკიდებულება დააფიქსიროს. სტუდენტები მამა ბასილ კობახიძესთან ერთად სასამართლოში სარჩელსაც შეიტანენ სასულიერო სემინარიის შინაგანაწესში ცვლილებების შეტანის მოთხოვნით. გარდა ამისა, სამოქალაქო საბჭოს წევრები უახლოეს მომავალში დიდი კონფერენციის მოწყობას აპირებენ, სადაც ღიად ითქმება იმ რეალობის შესახებ, რაც ღღეს წმინდა სინოდსა და საპატრიარქოში ხდება.

საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ სტუდენტების ამ წერილს საკმაოდ დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. რამდენიმე შეხვედრა გაიმართა ომბუდსმენის ოფისში, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციაში, პატრიარქის სახელზე წერილები დაიწერა. თავის მხრივ, ჟურნალისტთა სახლში შეხვედრას შეხვედრაზე აწყობდნენ მართლმადიდებელ მშობელთა კავშირისა

და ლევით აღმაშენებლის საზოგადოების წევრები. მედია ყველა ამ პროცესს საკმაოდ აქტიურად აშუქებდა, სანამ საქმეში პრეზიდენტი არ ჩაერთო და ყველა არ ჩააჩუმა... მანამდე კი მოხდა ის, რომ პატრიარქმა სასულიერო აკადემიის რექტორი თეოდორე ჭუაძე და პრორექტორი გიორგი ზვიადაძე თანამდებობებიდან გადაყენა. აკადემიის რექტორად მან საკუთარი თავი დანიშნა, ხოლო პრორექტორად – სიონის ტაძრის წინამძღვარი გიორგი გამრეკელი. შემდეგ კი მოხდა ის, რასაც დეკანოზი ბასილ კობახიძე თავიდანვე წინასწარმეტყველებდა: ნელ-ნელა სასულიერო აკადემია წერილის ხელმომწერ სტუდენტთა ნაწილმა დატოვა – ზოგი გაირიცხა, ზოგმა კი სასწავლებელი შევიწროების გამო დატოვა. მაგრამ მედიისათვის ეს ყველაფერი საინტერესო უკვე აღარ არის.

გეშინოდეთ, ქართულ „საექსპერტო ბაზარს”
კიდევ ერთი დამოუკიდებელი ექსპერტი ემატება!

18.12.04

– **ჩვენ უნდა დაგვამსგავსონ ამერიკელ ხალხს, რომლებმაც არ იციან, რა არის ქალიშვილობის, ბიძაშვილობის და მამიდაშვილობის ინსტიტუტი** – ეს სიტყვები საქართველოს დედაქალაქში, თბილისის შუაგულში, ცოდნის თეთრ ტაძარში, ჩვენს დედაუნივერსიტეტში დღისით-მზისით ახალგაზრდა, საკმაოდ სანდომიანი გარეგნობის სტუდენტმა გოგონამ ხმამაღლა განაცხადა. ამ გოგონამ რამდენიმე წელიწადში დიპლომი უნდა აიღოს და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროფესიონალი უნდა გახდეს. მას, წესით, უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობის და მათთან თანამშრომლობის არ უნდა ეშინოდეს. ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც ცნობილია, სწორედ ასეთია ჩვენი სახელმწიფო სტრატეგია ამ საკითხთან დაკავშირებით. ასევე კარგად არის ცნობილი, რომ ჩვენს სახელმწიფოს სხვა სტრატეგიებიც აქვს: ევროინტეგრაცია, ნატოში გაერთიანება და ა. შ. შესაბამისად, ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, თუ ამ სტრატეგიას ვეთანხმებით და მოგვწონს, მაშინ თავს ევროპის, ამერიკის და საერთოდაც, ნებისმიერi საერთაშორისო ორგანიზაციის მიმართ გახსნილად და კომფორტულად უნდა ვგრძნობდეთ. მაგრამ არის კი ეს ასე? თუ ასეა, მაშინ საიდან მოდის ასეთი ფობიები? რატომ უმოწმებენ ჩვენს საზოგადოებაში ასე ისტერიულად სოროსს კუდს და ჩლიქებს? რატომ მიიჩნევა ნატო სატანისტურ ორგანიზაციად? რატომ ფიქრობს ბევრი, რომ „პროქტერ ენდ გემბელის” პროდუქციაზე დადებული შტრიხკოდები სატანის ნიშანია? რატომ არის გათვითცნობიერებული ნებისმიერი ტაქსის მძღოლი „მასონთა ლოჟის საქმიანობაში”? რატომ ჰგონიათ უნივერსიტეტის სტუდენტებს პირამიდები ეშმაკის აშენებული? რატომ...? იმიტომ, რომ მათ ასე ასწავლეს, ასე უთხრეს, ან ასე უქადაგეს. ასე ასწავლეს სკოლაში, ასე მოისმინეს საპატრიარქოს რადიოში, ასე წაიკითხეს მართლმადიდებლურ ჟურნალ-გაზეთებში,

ასე იქადაგეს შეზარხოშებულმა მღვდლებმა ეკლესიების ამბიონებიდან. ნურავინ შემომედავება. საკუთარი თვალით წამიკითხავს და საკუთარი ყურით მომისმენია. ასევე საკუთარი ყურით მომისმენია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიზანტინისტიკის კურსი, რომლის ოთხმოცი პროცენტი სომხებისა და ებრაელების გინებასა და მასონთა ლოჟის შეთქმულების გამოაშკარავებას ეთმობოდა. უნივერსიტეტში ამ კურსს საპატრიარქოსთან დაახლოებული ერთ-ერთი ქალბატონი დღემდე კითხულობს. მისი მსგავსები ჩვენს საამაყო სასწავლებელში კიდევ ბევრნი არიან. ასე უკვე მრავალი წელია, გრძელდება. ხმას კი არავინ იღებს, რადგან თემა დახურულია. დახურულია, რადგან ჩვენს სახელმწიფოში ოფიციალური კურსის პარალელურად სხვა მიმართულებაც არსებობს, რომელიც ჩვენს ქვეყანას ზუსტად საპირისპირო მიმართულებით მიექაჩება. მთავრობამ კი რა ქნას? იმისათვის, რომ მან სახელმწიფოს მიერ არჩეული კურსი წარმატებით განახორციელოს, ხალხის ხმები და ხალხის მხარდაჭერა სჭირდება. ხალხს კი, როგორც ჩანს, სულ სხვა იდეალები აქვს და სულ სხვა რამ უნდა. იქნებ დრო, დავსვათ შეკითხვა, ვინ კვებავს ამ ხალხს ასე ძალუმად ამგვარი იდეალებით? პასუხი, სამწუხაროდ, ერთია – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. უფრო სწორად, ეკლესია და მართლმადიდებლობა აქ არაფერ შუაშია. ჩვენს მოქალაქეებს საპატრიარქოში, საპატრიარქოს რადიოსა და ჟურნალ-გაზეთებში და ზოგიერთ ეკლესიაში მოკალათებული ფანატიკოსები ასულელებენ. მთავრობამ კი რა ქნას? მას ყოველთვის სჭირდებოდა და სჭირდება ხმები. ასე იყო ზვიადის დროს, ასე იყო შევარდნაძის დროს, ასეა ახლა. თუმცა ბოლო ორი წელიწადია, მთლად ასე მაინც არ არის. მართალია, მთავრობაში ამ მხრივ არაფერი შეცვლილა, მაგრამ ცვლილება საზოგადოებაში მოხდა. საზოგადოებაში გაჩნდა კითხვები. ეს კითხვები, ერთი შეხედვით, ძალიან მარტივია. თითქოს მათზე პასუხის გაცემა საქართველოს საპატრიარქოს არ უნდა უჭირდეს, ამას სიამოვნებით უნდა აკეთებდეს და ამით კიდევ უფრო მეტი ადამიანის ნდობასა და მხარდაჭერას უნდა მოიპოვებდეს. მაგრამ ეს რატომღაც ასე მაინც არ არის.

თურმე, თუ მღვდელს და მის მრევლს გაუჩნდება შეკითხვა, ვინ არის დამნაშავე ხაშმის ეკლესიის დაგირავებაში და ვინ უნდა აგოს ამაზე პასუხი, ეს თავხედური კამპანიაა და ამ კითხვის დამსმელი უნდა დაისაჯოს. თურმე, თუ რომელიმე სასულიერო პირი სიმართლეს იტყვის და საჯაროდ განაცხადებს, რომ ეკუმენური მოძრაობიდან გამოსვლისა და ეკლესიის მიერ ამ ბოლო წლებში წარმოებული კარჩაკეტილი პოლიტიკის გამო არა მხოლოდ სხვების, არამედ თავად მართლმადიდებლური სამყაროს, რუმინული, სერბიული, ბერძნული და სხვა ეკლესიების დასაცინი გავხდით, ეს თავხედური კამპანიაა და ამის მთქმელს მღვდელმსახურება უნდა აეკრძალოს. თურმე, თუ სტუდენტები ხმამაღლა განაცხადებენ, რომ მათ სასულიერო აკადემიაში „ახალ აღთქმაში" ლექცია წელიწადში ორჯერ უტარდებათ ხოლმე, ეს თავხედური კამპანიაა და ამის განმცხადებლებმა სასტიკი საყვედური უნდა დაიმსახურონ.

როგორც გუშინ ბატონი გიორგი ანდრიაძისგან გავიგე, ეს თავხედური კამპანია, თურმე ბოლო ერთი წელიწადია მიმდინარეობს. ბატონ გიორგის მეტის მოთმენა აღარ შეუძლია, იგი საპატრიარქოს საპარლამენტო მდივნისა და საპატრიარქოს რადიოს გენერალური დირექტორის პოსტს ტოვებს და მალე დამოუკიდებელ ექსპერტად მოგვევლინება, რათა ამ თავხედურ კამპანიას საკადრისი პასუხი გაეცეს, თანაც, რაც მთავარია, ნებისმიერი ფორმით. პირველ რიგში, გუშინვე მათ სიონის წინ უმაღლესებიდან იმ ყაიდის სტუდენტები შეკრიბეს, რომლებიც რამდენიმე წლის წინ პარლამენტთან ყვიროდნენ, ძირს ქართველი კათოლიკეებიო და სახელმწიფოს ვატიკანთან ხელშეკრულება არ დაადებინეს. შემდეგ ალბათ სხვა ფორმებს გამონახავენ. თუმცა, ეს ბატონი ანდრიაძისა და მისი თანამოაზრეებისაგან გასაკვირი არ უნდა იყოს – თავის დროზე, მკალავიშვილის დაჭერისას, სწორედ ბატონი ანდრიაძე ახმოვანებდა საპატრიარქოს პოზიციას – კი ბატონო, მკალავიშვილი დაიჭირეთ, დაიჭირეთ, მაგრამ ნურც სხვებს (ანუ იეღოვას მოწმეებს) დაივიწყებთო. მაგრამ ანდრიაძის გუშინდელ განცხადებაში სულ სხვა რამეა საინტერესო: ის, რითაც დავიწყეთ – თურმე ეს „თავხედური კამპანია" ერთი წელიწადია მიმდინარეობს. რატომ გვატყუებს ბატონი საპატრიარქოს აწ უკვე ყოფილი საპარლამენტო

მდივანი? თუ იგი ამ „თავხედურ კამპანიაში" ეკლესიის თემებზე ტაბუს მოხსნას გულისხმობს, ეს ერთ წელიწადზე უფრო ადრე, თითქმის ორი წლის წინათ მოხდა, ხოლო თუ ამ საკითხებისადმი განსაკუთრებულ მედიაინტერესს გულისხმობს, ეს სულ რაღაც ერთი თვის ამბავია. განსაკუთრებული დაინტერესება 8 ნოემბერს ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ სტუდენტთა წერილს მოჰყვა. რაში დასჭირდა ბატონ ანდრიაძეს „ერთი წელიწადი"? რის თქმა უნდოდა მას საზოგადოებისათვის? ამას დიდი დაფიქრება არ სჭირდება: *ერთი წელია, რაც მთავრობა შეიცვალა და აი, ამის მერე აირია მონასტერი.* რა ხდება? ამ გზით საპატრიარქო ცდილობს ბრალი დასდოს მთავრობას, თუ ამ ხერხით ბატონი ანდრიაძე თავის საქმეს იკეთებს? ამ შემთხვევაში პასუხი მთლად მარტივი არ არის. ერთი მხრივ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დღევანდელი მთავრობა საპატრიარქოს გარკვეულ (მცირე) დისკომფორტს უქმნის. იგი ბევრ რამეში უფრო ქმედითუნარიანი და პრინციპულია, მაგალითად, დაიჭირა ბასილ მკალავიშვილი, უარი თქვა ხაშმის დაგირავებული ეკლესიისა და სასახლის ფულის გადახდაზე და ა. შ. ასე რომ, გამორიცხული არც პირველი ვარიანტია, მაგრამ ძაღლის თავი სწორედ აქაა დამარხული, – მიუხედავად პირველი ვერსიის სავარაუდო სისწორისა, არც მეორე ვერსიის უარყოფა ივარგებს. საქმე ისაა, რომ, როგორც ამბობენ, ბატონი ანდრიაძე საპატრიარქოში მოღვაწეთა იმ ფრთას ეკუთვნის, ვინც წინასაარჩევნო პერიოდში კონსტანტინე გამსახურდიას ლობირებდა და მისი და უცნაური ქართველი ბიზნესმენის, გია მაისაშვილის შეხვედრებს აწყობდა ხოლმე პატრიარქთან. თუმცა ამბობენ, რომ მაშინ, თავის მხრივ, ვერც ბატონმა კონსტანტინემ გადაწყვიტა საბოლოოდ, გიორგი ანდრიაძესა და მის სხვა ძველ მეგობრებს დაყრდნობოდა თუ ახალგაზრდა მიხეილ სვიმონიშვილსა და მის გუნდს. თავის მხრივ კი ბატონმა გია მაისაშვილმაც ვერ მოიფიქრა, ყური ბოლომდე ანდრიაძისათვის ეგდო, თუ ხანდახან მანანა გამსახურდიასთან ერთად გამოჩენილიყო საზოგადოების წინაშე. როგორ განვითარდება ამჯერად მოვლენები, ძნელი სათქმელია, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ბატონ ანდრიაძეს პოლიტიკური ამბიციები აშკარად აწუხებს და, სავარაუდოდ, ძალიან ბევრი პოლიტიკური

დაჯგუფება მოხარული იქნება „თავისუფალი ექსპერტის" „თავისუფალი იდეები" გამოიყენოს. რწმენითა და მართლმადიდებლობით სპეკულირება ხომ, როგორც დრო გვიჩვენებს, ყველა პარტიას ერთნაირად სჭირდება.

სასაცილოა, მაგრამ გიორგი ანდრიაძის საპატრიარქოდან ფორმალურ წამოსვლას (რეალურად იგი არსაიდან არ წამოსულა, იგი ახლაც საპატრიარქოს მიერ დაარსებული მეცნიერებისა და კულტურის ფონდის წევრია და გამუდმებით საპატრიარქოში იმყოფება) ის მოჰყვა, რომ მედიაში ამ თემებზე დისკუსია შეწყდა. თუმცა, რა თქმა უნდა, გიორგი ანდრიაძის მუქარა აქ არაფერ შუაში იყო. როგორც ეს ტიპურ არადემოკრატიულ სახელმწიფოებში ხდება ხოლმე, პოლემიკას წერტილი თავად პრეზიდენტმა, მიხეილ საკაშვილმა დაუსვა თავისი პოზიციის აშკარა დაფიქსირებით და საპატრიარქოს მხარდაჭერით. ამას კი ის მოჰყვა, რომ გამოუძიებელია ხაშმისა და სხვა ამგვარი ბიზნესების საქმე, გამოუძიებელია მღვდლებზე, გიორგი ჩაჩავასა და ზაზა თევზაძეზე თავდასხმის საქმე, „24 საათში" გამოქვეყნებული წერილის თითქმის ყველა ხელმომწერი სტუდენტი სასულიერო აკადემიიდან გაგდებულია, საპატრიარქოს ჟურნალ-გაზეთებში კი ისევ შემდეგი შინაარსის წერილები იბეჭდება: „ბოლო ჟამს რუსები მოინანიებენ სასიკვდილე ცოდვებს, ებრაელ-მასონთა უსჯულოება რომ დაუშვეს და არ დაიცვეს ცხებული მეფე, ეკლესია-მონასტრები და სხვა სიწმინდეები, რომ მოიძაგეს ღვთისმოსაობა და შეიყვარეს საეშმაკო უკეთურება. იქნება სულიერი აფეთქება და რუსეთი ყველა სლავ ხალხთან ერთად შექმნის ძლიერ სამეფოს, რომელსაც სათავეში ეყოლება მართლმადიდებელი ცხებული მეფე (იმეფებს ორი წელი და რვა თვე), მისი მცდელობით რუსეთში ყველა სექტა და სქიზმა გაქრება, მართლმადიდებელ ეკლესიას დევნა არ ექნება"... „სულ ახლახან საბერძნეთში შემოტანილ ზოგიერთ ტელევიზორს აქვს ისეთი მოწყობილობა, რომელიც თვალყურს ადევნებს მათ, ვინც მის წინაა. სულ მალე, როდესაც ტელევიზორის საყურებლად დასხდებიან, ამ დროს სხვა ვიღაცეები თავად ტელემაყურებელსავე დაუწყებენ თვალიერებას!"... „ეკუმენიზმი ერესთა ერესია. მართლმადიდებლური ეკლესია აზვირთებულ ოკეანეში მცურავი ხომალდია, რომელშიც ჩვენ, მართლმადიდებლები ვზივართ, სხვა

სარწმუნოების ხალხი მხარულით მიცურავს. შენ უფალმა მართლმადიდებლად გაგაჩინა. მთავარია, შენ მტკიცედ იდგე შენს სარწმუნოებაზე, არ ცდუნდე. სხვა აღმსარებლობის ადამიანი ცხონდება თუ არა, იმათ უფალი მიხედავს"... „საქართველო აღდგება ისე, როგორც ლაზარე. სკიპტრა სკიპტრაა და სანამ საქართველოს გვირგვინოსანი მეფე არ ეყოლება, არაფერი გამოვა. საქართველოის მეფე უნდა ჰყავდეს გვირგვინოსანი ბაგრატიონი. ის რა ერია, რომელსაც მეფე არ ჰყავს. საქართველო უნდა გაბრწყინდეს, მაგრამ დიდი ტანჯვა უნდა გამოიაროს. როცა იტყვიან – აი, მორჩა, მაშინ განათლდება და გაბრწყინდება"... "მარად მკვდარი არ გეგონოთ, მე საფლავში ცოცხალი ვიქნები. ბოდბეში წმინდა ნინო წევს გაუხრწნელად და მირონი სდის და აი, აქ მე ვიქნები. მე რომ გარდავიცვლები, აქ ნახევარი საქართველო მოვა. ჩემი ჯვარი სრულიად საქართველო და ნახევარი რუსეთია"... „მომზადება უკვე დამთავრებულია. ყველაფერი თანამედროვე მსოფლიოში ამჟამად მოქმედი ფულის გაუქმებით დაიწყება და მათ „ელექტრონული ფულით" შეცვლიან. ერთადერთი დოკუმენტი შუბლზე ან მარჯვენა ხელზე ელექტრონული ბეჭედი იქნება. ბელგიაში უკვე აგებულია გიგანტური კომპიუტერი, რომელშიც მსოფლიოს ყველა ადამიანის შესახებ მინაცემია შესული. ამ კომპიუტერს ასეც ჰქვია – „მხეცი". რიცხვი 666 უკვე შეტანილია ცხოვრებაში. . . სხვა სიტყვებით, ყველაფერი მომზადებულია ანტიქრისტეს მისაღებად და აი, ის უკვე განცხადდა. ამერიკა ემზადება მის შესახვედრად, პონტოფიკალურმა კომისიამაც კი ვატიკანში მოუწოდა ყველა კათოლიკეს, შეხვდნენ „მესიას" იუდეველებთან ერთად"... „გამოდის, რომ „შენგენის" სისტემის საშუალებით, რომელიღაც მაკონტროლებელი ორგანო (პირი და პირთა ჯგუფი) შეძლებს დროის ყოველ მომენტში დაწერილებითი ინფორმაცია იქონიოს ნებისმიერი ადამიანის პირადი ცხოვრების შესახებ. ამგვარად თავდაპირველი იდეა გაერთიანებული ევროპისა – ევროპის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობაა – შენაცვლებულია ერთიანი, შეზღუდვებისა და კონტროლის მძლავრი სისტემის მქონე პოლიტიკური სუპერსახელმწიფოს შექმნით... ბოლოს და ბოლოს, რა არის სამუდამო ინდივიდუალური ნომერი? ეს არის ჩვენი პიროვნების, ჩვენი

არსის, ჩვენი სულის ნომერი, რომელიც ღმერთმა თავისუფალი და დამოუკიდებელი შექმნა. და მან ასე უნდა იარსებოს უკუნისამდე. ვის აქვს უფლება, ქმნილებათაგან რომელს, ღმერთის ნების წინააღმდეგ აღიძრას, შეგლუდოს სხვათა, მის მსგავს ადამიანთა შინაგანი თავისუფლება? ეს ნომერი სამუდამოა, აღარ შეიცვლება. სახელი აღარ გვჭირდება, კომპიუტერმა არ იცის სახელების კითხვა. ინდივიდუალური საიდენტიფიკაციო ნომერი გვართმევს სახელს, რომელიც მოგვენიჭა წმიდა ნათლისღებისას და განგვაშორებს მადლსა და მფარველობას ჩვენი მფარველი ანგელოზისა. ნომერი ზღუდავს ადამიანს, ამცირებს, – როგორც პაგარა უჯრედს ავბედითი კომპიუტერის – „მხეცის" მონაცემთა ბაზაში ... ინდივიდუალური ნომრის მინიჭება ერთ-ერთი ეტაპია ანტიქრისტეს ავბედითი გეგმისა. შემდგომი ეტაპია ელექტრონული პლასტიკური ბარათის შემოღება თითოეული მოქალაქისთვის, შემდგომში ფინანსურ გაანგარიშებაში ფულადი ნიშნების გარეშე სისტემაზე გადასვლისათვის.. . . ჩვენ დათმობაზე მივდივართ მასონურ – თალმუდისტური ლუციფერიანისტების წინაშე, რომლებიც ამზადებენ ტრიუმფალურ მოსვლას ცრუმესიისა – ანტიქრისტესი და საკუთარ თავზე იღებენ მთელ პასუხისმგებლობას".

წიგნიდან „საქართველო მეორედ მოსვლის წინ"

წმინდა მამების წინასწარმეტყველებანი ბოლო ჟამზე

გამომცემელი: ქართული მართლმადიდებლური გაზეთი „ერი და ბერი"

რედაქტორი: ნიკოლოზ ბულია

წიგნზე მუშაობდნენ: ელდარ ეკალაძე და ნონა ნამგალაძე

წიგნში გამოყენებულია გაზეთ „ერი და ბერში" გამოქვეყნებული მასალები

2005 წელი

იყიდება თითქმის ყველა მართლმადიდებლურ ტაძარსა და „მართლმადიდებლურ მაღაზიაში".

ორჯერ ორი იმდენია, რამდენიც ქართველ ხალხს სჭირდება

19.11. 04.

თითქმის ყოველდღე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების გარკვეული ჯგუფი რაღაც აქციას მართავს, იქნება ეს მინისტრისათვის შესავსებად მიცემული ტესტი, განათლების რეფორმის წინააღმდეგ ხელმოწერების შეგროვება, ილია ჭავჭავაძის საფლავზე დაფიცება თუ სხვა. ამ ბოლო დროს მათ სამინისტროში შევარდნითა და რელიგიის სწავლების მოთხოვნით ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებიც შეუერთდნენ. ბუნებრივია, გარკვეული მოვლენის მიმართ პროტესტის გამოთქმის უფლება ყველას აქვს, მაგრამ გამონათქვამებსა და მოსაზრებებს, რომლებიც ამ აქტივობებს თან ახლავს, ვფიქრობთ, გაანალიზება სჭირდება, რადგან ისინი აშკარად მიუთითებენ ჩვენი საზოგადების დღევანდელ მდგომარეობაზე. ამ თემაზე სასაუბროდ მოვიწვიეთ ფილოსოფოსები ***სერგო რატიანი*** *და* ***გიგა ზედანია****, დეკანოზი* ***ბასილ კობახიძე*** *და პარლამენტარი* ***ლევან ბერძენიშვილი****.*

მართალია, ის პრობლემა, რომელზე სასაუბროდაც დღეს მოვიწვიეთ, განსაკუთრებით მიმდინარე განათლების რეფორმის ფონზე გამწვავდა, მაგრამ მოდი დღეს ნურც განათლების რეფორმას შევეხებით, ნურც მინისტრს ან მის მხარდამჭერებსა და მოწინააღმ-დეგეებს. არ არის აუცილებელი კონკრეტულად დავასახელოთ რომელიმე სტუდენტი ან რომელიმე სტუდენტური დაჯგუფება. ჯობს შევეხოთ მათ აქტივობას, როგორც საზოგადოებრივ მოვლენას. ვფიქრობ, მარტივად იმის თქმა, რომ ეს ჰალსტუხიანი ახალგაზრდები კომკავშირის შთამომავლები არიან, არ შეიძლება. ჩემი აზრით, ეს ჩვენი დროის განსაკუთრებული მოვლენაა. ყველასათვის სამწუხაროდ, არაფორმალურ საუბრებში მათ თავად უნივერსიტეტის თანამშრომლები უწოდებენ „ჰიტლერ იუგენდს". რასთან გვაქვს საქმე? რა სახის სოციალურ-პოლიტიკური მოვლენაა ეს? ამაში გასარკვევად გთავაზობთ, ის იდეები, რომელიც ამ ბოლო პერიოდში უხვად „დაიფრქვა", ცალ-ცალკე განვიხილოთ. მაგალითად, ასეთი: შეიზღუდოს სიტყვის თავისუფლება, ოღონდ საქმე გაკეთდეს.

ლევან ბერძენიშვილი: მე სულაც არ მიჩნდება შთაბეჭდილება, რომ ეს ახალგაზრდები კომკავშირის მემკვიდრეები არიან. საქმე ისაა, რომ კომკავშირი ხელისუფლებისგან ხელდასხმასა და მისი წყაროებიდან კვებას იყო მიჩვეული. ამიტომ ისინი ნებისმიერ ხელისუფლებას უდასტურებდნენ თავიანთ სიმპათიებს. მაგრამ, ამ შემთხვევაში ეს ასე არ მოხდა. ისინი არ გადაბარგდნენ შევარდნაძის ბანაკიდან სააკაშვილის მომხრეების ბანაკში, რასაც კომკავშირელები აუცილებლად გააკეთებდნენ. მე ვიცნობდი კომკავშირელებს, რომლებიც იყვნენ სტალინისტები, მერე პიროვნების კულტის მაგინებლები, მერე აგინეს ხრუშჩოვს და ა.შ. *მაგრამ, ამ ახალგაზრდების შემთხვევაშიც, როდესაც ისინი განათლების რეფორმას, მინისტრს ან ვინმე სხვას აგინებენ, პრეზიდენტი ხელშეუხებელი რჩება – მას ცული არაფერი გაუკეთებია.*

ლევან ბერძენიშვილი: ეს არის უბრალო შიში. შიდა საუბრებში მათთვის საკაშვილიც იგივეა, რაც სხვა. მაგრამ, მთავარი ეს არის არის. მთავარია, ჩვენ ამ პრობლემის არსს ჩავწვდეთ. კომკავშირისგან განსხვავებით, ეს უფრო საინტერესო მოვლენაა. ისინი ხელისუფლების მცველები კი არ არიან, არამედ სახელმწიფოს მცველები; იმ სახელმწიფო იდეის მცველები, როგორადაც მათ სახელმწიფო თავად წარმოუდგენიათ. ამიტომ ფაქტობრივად ისინი არიან იმ ტიპის სტუდენტური ძალა, რომელიც ყოველთვის დისიდენტია, მაგრამ არა კოპერნიკის ან სახაროვის გაგებით; მათ ფუნდამენტური იდეალი გამოუჩნდათ, ისინი არიან დისიდენტები, რომლებიც ვერ მოვიდნენ ჰარმონიაში არსებულ რეალობასთან. ისინი ჰგვანან ერთი კარგი გერმანელი მწერლის ნაწარმოების გმირს, რომელის შესახებაც შეიძლება იციან რამე, შეიძლება არა. მე ვგულისხმობ გიუნტერ გრასის მედოლეს, რომელსაც გაზრდა არ უნდოდა. ეს ხალხი თავის ცხოვრებაში სინათლის შეტანას ერიდება. შემთხვევითი არაა, ისინი რომ ამბობენ – შეიზღუდოს სიტყვის თავისუფლება, ოღონდ საქმე გაკეთდეს. ამით ისინი ამბობენ: – ჩვენ ვართ ბნელები, ჩვენ შევეწინააღმდეგებით ჩვენს განათლებას იმიტომ, რომ ეს განათლება დაგვღუპავს. ეს მათ სხვადასხვაგვარად, არაფორმალურად წამოსცდებათ ხოლმე, მაგრამ ფაქტია, რომ ეს არის ბაცილა, ის ბაცილა, რომელზედაც

კამიუმ თქვა, რომ იგი არასოდეს კვლება. იგი სხვადასხვა დროსა და ადგილას ინახება ხოლმე და მას „ფაშიზმის ბაცილა" ჰქვია. სამწუხაროდ, ეს ახალგაზრდები ყველაზე ახლოს ფაშისტურ იდეასთან არიან. თავიანთ შესახებ მათ შეიძლება ბევრი არაფერი იცოდნენ, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. მათ შორის ალბათ მომავალი იდეოლოგებიც არიან, ვინც შემდეგ ამას ყველაფერს გააფორმებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ძირითადად ისინი იყენებენ იმ ენერგიას, რომელიც ნებისმიერ საზოგადოებაში შეიძლება ნაციონალისტურმა იდეამ აღძრას. ეს მსუყე იდეა გახლავთ. მე ვცხოვრობ სხვებზე უარესად – ეს ფაქტია. ისიც ფაქტია, რომ მე ვიცი სხვებზე ნაკლები. რას სწავლობს აქედან ახალგაზრდა? იმას კი არა, რომ ჩვენ ვერ ვივარგეთ, რატომღაც ისტორიაში ჩამოვრჩით და ა.შ. არამედ სულ სხვას – ჩვენ იმიტომ ვიჩაგრებით, რომ ყველაზე საუკეთესოები ვართ. ვინც შეეცდება, რომ ჩვენში დაამკვიდროს რაიმენაირი მსოფლიო წესი, ის ყველაზე დიდი დამნაშავე იქნება, იმიტომ, რომ წარსულში უკვე იყო ყველაფერი კარგი. სულაც არ არის უცნაური, რომ მათ უნივერსიტეტის რექტორობისათვის კანდიდატურა ჰუმანიტარიის სფეროდან იპოვეს. გამიკვირდებოდა, რომ მათ ფიზიკოსი, ქიმიკოსი, ან სხვა რომელიმე ზუსტი მეცნიერების წარმომადგენელი შეერჩიათ. თანაც ჰუმანიტარი, რომლის დონის შემოწმებაც მსოფლიო კრიტერიუმებით შეუძლებელია. გახსოვთ, როგორ წარადგინეს იგი? კაცი, რომელიც ორგზის იყო აღიარებული წლის ადამიანად და ა.შ. ამით ისინი ეძებენ კრიტერიუმებს, რომელიც მსოფლიო კრიტერიუმებს გამოცვლის. აი ეს არის ძირითადი. ისინი არ აღიარებენ, რომ ორჯერ ორი ოთხია, ისინი ამბობენ, რომ ორჯერ ორი იმდენია, რამდენიც ქართველ ხალხს სჭირდება.

შარშანდელი რევოლუციის წინა პერიოდში ე.წ. „არტკომთან" ერთად თბილისის თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში მომიწია მისვლა და სტუდენტებთან შეხვედრა. ისეთი აგრესია და წინააღმდეგობა, როგორიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეგვხვდა, არსად შეგვხვედრია.

ლევან ბერძენიშვილი: იმიტომ, რომ „გრაალის მცველები", ნაციონალური იდეის მცველები, გლობალიზაციის მოწინააღმდეგენი

უნივერსიტეტში არიან, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა „უნივერსიტეტი" სრულიად საწინააღმდეგოს ნიშნავს. გაუნათლებელი ქართული ფაშიზმი არა მხოლოდ გაუნათლებლობითაა საშიში, არამედ იმითაც, რომ მისი ფუნდამენტი სადმე ბნელ ადგილას კი არა, არამედ ყველაზე ნათელ ადგილას – ცოდნის თეთრ ტაძარშია. მოდი, პირდაპირ ვთქვათ, ეს ბავშვები არაფერ შუაში არიან. მე ვერ ვიტყვი, რომ დღიდან დაარსებისა, მაგრამ უნივერსიტეტში თითქმის ყოველთვის ბოგინობდა იდეა ჩვენი განსაკუთრებულობის შესახებ. ეს, დაახლოებით, ასე ჟღერს: ჩვენ შეიძლება მსოფლიო ვარსკვლავებს არ ვწყვეტთ, შეიძლება უჩვენოდ გაიარა რამდენიმე საუკუნემ, ჩვენი მონაწილეობა მე-20 საუკუნის მსოფლიოში ამხანაგ სტალინის მოღვაწეობით შემოფარგლება, მსოფლიომ ისე შექმნა თანამედროვე ტექნოლოგიები, ისე ააწყო თანამედროვე სამყარო, რომ ჩვენ ამაში როლი ვერ შევასრულეთ და როდესაც კაცს გასწავლიან, რომ შენ სამყაროს ჭიპი ხარ, და „შუშანიკის წამება" რომ არ დაწერილიყო, საერთოდ არაფერი არ იქნებოდა, შენ ხედავ ამ წინააღმდეგობას და ხედავ გადაწყვეტის გზასაც – დაუკეტო გზა მსოფლიოს. არ მინდა წარსულის აჩრდილებს ძალიან ვაწყენინო, მაგრამ საზოგადოება, რომელიც რამდენიმე გაუნათლებელ ფილოლოგს გამოაცხადებს მსოფლიო აზროვნების ქვაკუთხედად, აქამდე მივიდა. მე პატივს ვცემ პავლე ინგოროყვას, მაგრამ არ შეიძლება პავლე ინგოროყვა იყოს შენი დიდი მეცნიერი, კაცი, რომელიც თავად მეცნიერების იდეას ეწინააღმდეგებოდა, მწერალი – შეიძლება უნიჭიერესიც, რომელიც მეცნიერებაში შეიპარა და რომლის სამეცნიერო საფუძვლებიც ნულოვანი იყო. იგი ამტკიცებდა, რომ სიტყვა „მესხისგან" მიიღება სიტყვა „აფხაზი". ასეთი კაცი რომ იქნება შენი იდეოლოგი, მაშინ უფრო შორსაც წახვალ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ის ახლად დასახელებული პოეტი ენათმეცნიერის მიხეილ ქურდიანის სულიერი მამაა.

ეს ახალგაზრდები თვლიან, რომ საიდანღაც საფრთხე საქართველოს ისტორიის სწავლებას ემუქრება და მას ყველა მეთოდებით იცავენ. თუმცა, იმ ტესტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომელიც მათ განათლების მინისტრს გადასცეს შესავსებად, უნდა

ვთქვათ, რომ მათ კარგად არ იციან არა მხოლოდ საქართველოს ისტორია, არამედ საერთოდ არ გააჩნიათ წერის კულტურა, არ იციან მართლწერის ელემენტარული ნორმები.

სერგო რატიანი: რაც შეეხება ისტერიას ისტორიის გარშემო, ასეთი რამ მინდა ვთქვა. რამდენიმე დღის წინ „202"-ის ეთერში ამ სტუდენტებს ჰკითხეს, რა აზრის არიან ისინი როინ მეტრეველზე. მათ პასუხი არ ჰქონდათ. შემდეგ ჰკითხეს, თუ ახსოვდათ, რა ხდებოდა 9 აპრილს და ვინ იყო ნუგზარ ფოფხაძე. მათ პასუხი არც ამ კითხვაზე ჰქონდათ. საინტერესო მოვლენაა, რომ მათ არ აინტერესებთ უახლესი წარსული, უახლესი ისტორია და ისტერია აქვთ ატეხილი იმაზე, რომ ეს საგანი თითქოს იჩაგრება. რატომ არ აინტერესებთ მათ უახლესი ისტორია? იქმნება შთაბეჭდილება, რომ ვიღაცეებს სურთ მათ მთელი ყურადღება წარსულის ისტორიაზე გადაატანინონ, რათა უახლესი ისტორია დაავიწყონ. ჩვენ უკვე 12 წელიწადია ვცხოვრობთ განათლების სისტემაში, რომელიც საბჭოთა პერიოდის განათლების სისტემა იყო. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენ სადღაც ნულოვან წერტილში კი არ დავრჩით, საიდანაც შეიძლება უკეთესობისკენ განვვითარდეთ, არამედ ჩვენ ავირჩიეთ საბჭოთა განათლების სისტემა, რაც ნიშნავს, რომ ჩვენ ვაღიარეთ ის პრინციპები და ღირებულებები, რაც საბჭოთა დროს იყო. რას ნიშნავს ეს? საბჭოთა სისტემა იყო გარკვეული სინამდვილე, რომელსაც ვიღაც ერგებოდა ან ვერ ერგებოდა, მაგრამ ყველა ერთიანად აღიარებდა, რომ ჩვენი ტრადიცია, ჩვენი საფუძვლები იყო რაღაც სხვა. მაგრამ საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ ჩვენ ნებაყოფლობით განვაცხადეთ თანხმობა საბჭოთა კავშირის განათლების სისტემაზე, ანუ, ფაქტობრივად, ცხოვრების საბჭოთა წესსზე. წარსულს კი ერთი საინტერესო თვისება აქვს. ის ან წარსული ხდება და ჩვენ მას როგორც ისტორიას ვაღიარებთ, ან მას უჩნდება პრეტენზია, რომ გახდეს ჩვენი აწმყო და მას პრეტენზია აქვს მომავალზეც. ისტორია, წარსული, რომელსაც არ სურს გახდეს წარსული, არის ჩვენი ტრადიცია. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენ უკვე გვაქვს საბჭოთა ტრადიცია – რაც არ გვქონია თავად საბჭოთა კავშირის არსებობის დროს. მე კიდევ ერთ გარემოებას მინდა გავუსვა ხაზი. როდესაც ლაპარაკია

პერმანენტულ რევოლუციებზე, ჩვენ უნდა გვახსოვდეს ჰეგელის ნათქვამი – საფრანგეთში რეფორმაცია რომ მომხდარიყო, რევოლუცია არ მოხდებოდა. ჩვენ ვივლით ან რევოლუციების, ფაქტობრივად, ნგრევის გზით, ან რეფორმაციების გზით.

ყველამ ნახა ტელევიზიით, როგორ აიტანეს სტუდენტებმა გვირგვინები მთაწმინდის პანთეონში და როგორ დაიფიცეს სანთლებით ხელში რეფორმატორ ილია ჭავჭავაძის საფლავზე, რომ არავის მისცემენ დამღუპველი რეფორმების გატარების ნებას.

გიგა ზედანია: მე ვთვლი, რომ სტუდენტები, გინდა ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის იყვნენ ისინი და გინდა ტექნიკური უნივერსიტეტისა, და მათ უკან მდგომი ფიგურები მაინცდამაინც ძლიერები არ არიან, მაგრამ მათი გამოსვლა ძალიან სიმპტომატური იყო. არა იმიტომ, რომ იმ იდეოლოგიას, რომელსაც ისინი წარმოადგენენ, რაიმე მნიშვნელობა აქვს, არამედ იმიტომ, რომ საზოგადოება ამ იდეოლოგიის გამოხატულებას არ შეხვდა შესაბამისი აღშფოთებით. მე ეს აღშფოთება ფართო საზოგადოებაში ვერ დავინახე, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი საშუალო ქართველის ცნობიერება ფაშისტური იდეებისაგან თავისუფალი არ არის. ამას ძალიან ბევრი სოციალური თუ კულტურული მიზეზი აქვს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ჩვენ დღეს მართლაც გვაქვს ტრადიციებისა და მოდერნის შეჯახების პრობლემა. ქართული საზოგადოების დემოკრატიული ფრთა კი, ჩემი აზრით, ამ ტრადიციების პრობლემას სათანადო ყურადღებას არ უთმობს. არსებობს მცდელობა, რომ ტრადიციების მაგივრად, მაგალითად, ადამიანის უფლებებზე ვილაპარაკოთ. თავისთავად მე ეს სწორად არ მეჩვენება, რადგან ადამიანის უფლებები ფორმალური ჩარჩოა, რომლის უკანაც ჩვენ ჩვენი თანაცხოვრების წესი უნდა მოვაწყოთ. არც ალტერნატიული ტრადიციების მოძებნა მეჩვენება სწორად, მაგალითად, ფუძემდებლურ ფიგურად ვაჟა-ფშაველას გამოყვანა და ა.შ. ჩემი აზრით, ერთადერთი გამოსავალია, ხალხს ავუხსნათ ის, რაც არსებულ ტრადიციებში, ამ ტრადიციების ფეტიშიზაციის მიღმა ნამდვილად დევს. თუ, მაგალითად, ტექნიკური უნივერსიტეტის რომელიმე წარმომადგენელი გამოდის და ლაპარკობს ეროვნულ რელიგიაზე, რაც თავისთავად ძლიან საინტერესოა,რადგან

ქართული ფაშიზმის წარმომავლობა ერთმანეთთან სწორედ ამ ორი დისკურსის – მართლმადიდებლური და ნაციონალისტური იდეების – გადახლართვას უკავშირდება, ჩვენ მას უნდა ავუხსნათ, რომ ქრისტიანობა - ეს არის რელიგია, რომელმაც ეთნიკური განსხვავებები წაშალა. ვგულისხმობ პავლეს ფუძემდებლურ ნათქვამს, რომ აღარ არსებობს ელინი და ებრაელი, რომ ისინი ყველა ერთნი არიან ქრისტეში. ანდა, თუ ვინმეს ძალიან უნდა, გამოაცხადოს რუის-ურბნისის კრება რაიმე საკრალურ ხდომილებად და მოგვთხოვოს მისი თარიღის ზეპირად ცოდნა, მაშინ ჩვენ ამაზე უარი კი არ უნდა ვთქვათ, ის კი არ უნდა ვუპასუხოთ მათ, რომ ეს წარსულია და ჩვენ მხოლოდ მომავლზე ორიენტირებული საზოგადოება ვართ, არამედ გასაგებად უნდა ავხსნათ, თუ რა იყო რუის-ურბნისის კრების არსი. უნდა ვთქვათ, რომ მაშინ ხელისუფლება ძლიან უხეშად ჩაერია საეკლესიო კომპეტენციაში, გადააყენა მღვდელმთავრები, რომლებიც იღებდნენ ქრთამს და დავსვათ კითხვა, ხომ არ არის ჩვენი საზოგადოება და ჩვენი ეკლესია ახლა ისეთ სიტუაციაში, რომ სრულიად ტრადიციულად მეორე რუის-ურბნისის კრება გვჭირდება? ანდა, თუ რომელიმე ფაშისტურად განწყობილი სტუდენტების ჯგუფი ადის ილია ჭავჭავაძის საფლავზე და იფიცებს სულერთია რას, ჩვენ ამ ფაქტს დუმილით კი არ უნდა ავუაროთ გვერდი, ან ილია ჭავავაძის საპირისპიროდ სხვა ფიგურის ძიება კი არ უნდა დავიწყოთ, არამედ უნდა ვთქვათ, რომ არც შალვა რამიშვილს და არც „რადიო 105”- ს არ დაუცინია ისეთი ინტენსივობით მამათა თაობისათვის, როგორც ეს ილია ჭავავაძემ გააკეთა. თუ ჩვენ საზოგადოებას ამას სწორად მივაწოდებთ, მაშინ ეს ადამიანები მარგინალურ სიტუაციაში აღმოჩნდებიან. ფაშიზმი ყველა საზოგადოებაში არსებობს, მაგრამ საზოგადოების ნორმალურობა იზომება იმით, თუ რა ადგილი უჭირავთ მათ ამ საზოგადოებაში. ვიღაცას შეუძლია თქვას, რომ დღეს კულტურულ-იდეურ სფეროში ჰეგემონიის პრობლემა მნიშვნელოვანი არ არის, რადგან ბევრი პოლიტიკურ-ეკონომიკური პრობლემა გვაქვს, მაგრამ, ძალიან ნიშანდობლივად მეჩვენება, რომ არცერთ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ რეფორმას ისეთი ვნებათაღელვა არ მოჰყოლია, როგორიც განათლების რეფორმას მოჰყვა, რაც ძალიან

კარგი ინდიკატორია იმის დასამტკიცებლად, რომ არ შეიძლება ეს სფერო ყურადღების მიღმა დარჩეს. ხელისუფლებას თავისი თავბრუდამხვევი რეიტინგის გამო შეუძლია პოლიტიკური ნების ხარჯზე ეს რეფორმები ახლა გაატაროს. 4-5 წელიწადში ეს რეიტინგი აღარ იარსებებს და ჩვენი საზოგადოება დარჩება ისევ ისეთი, როგორიც არის – ქსენოფობიით და რელიგიური შეუწყნარებლობით დაავადებული და მაშინ აღარანაირი მექანიზმი არ იარსებებს ამ საზოგადოების ნების წინააღმდეგ წასასვლელად.

ქსენოფობია და რელიგიური ექსტრემიზმი ძალიან კარგად გამოვლინდა ამ სტუდენტების ნათქვამ კიდევ ერთ თემაში: უნივერსიტეტის რექტორი აუცილებლად უნდა იყოს ქართველი და მართლმადიდებელი.

დეკანოზი ბასილ კობახიძე: ჰო, უნივერსიტეტის რექტორი უნდა იყოს ისეთი ადამიანი, რომელიც დეპუტატ გოჩა ფიფიას ყველა შეკითხვას დაკმაყოფილებს. რადგან საზოგადოებამ შესაბამისი რეაქცია არ მისცა გოჩა ფიფიასა და სხვების ამგვარ გამონათქვამებს, ჩემი აზრით, საშიში ტენდენცია ეს სწორედ ამიტომაც არის. საქართველოსთვის ასეთი შემთხვევები აშკარად არაა მარგინალური მოვლენა. როგორც ბატონმა გიგამ აღნიშნა, ჩვენ უნდა ვუთხრათ საზოგადოებას, რომ ქრისტიანობამ ყოველგვარი ეთნიკურობა უარყო, რომ ნაციონალიზმში შეიძლება ჩაიდოს არა მხოლოდ, ეთნიკური, არამედ ასევე ცივილიზებული სახელმწიფოს აღმშენებლობის აზრიც. მაგრამ ვინ უნდა უთხრას ეს საზოგადოებას? თქვენ თუ ეტყვით, ამას ხალხი არ დაიჯერებს, ეკლესია კი საპირისპიროს ეუბნება, ეუბნება, რომ ქართული გენი არის მართლმადიდებლური გენი, რომ ღმერთს გამორჩეული ჰყავს ქართველები, მათ უფრო მეტს მოსთხოვს და ა. შ. განათლების რეფორმა ის ლაკმუსის ქაღალდია, რომელმაც ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ, ამ მთავრობის დროს გამოაჩინა. წინა ხელისუფლების დროს ეს იყო ხელშეკრულება, რომელიც ვატიკანს უნდა დაედო საქართველოს ხელისუფლებასთან. ვინ შეუვარდა ლომაიას რამდენიმე დღის წინ სამინისტროში? ისევ ის სახეები, ვინც მაშინდელი მოვლენებისას აქტიურობდნენ, ფსევდოფოლკლორული კონცერტი ჰქონდათ გამართული და რელიგიურ-ნაციონალისტურ

ლოზუნგებს ყვიროდნენ ქართველი კათოლიკების წინააღმდეგ. საშიში ის არის, რომ ბევრი ამ ადამიანთაგან გულწრფელია, რადგან ეს ეკლესიის მიერ ლეგიტიმირებული რელიგიური ნაციონალიზმია. საქმე იმაში გახლავთ, რომ სოციალური უკმაყოფილების ფონზე რელიგიური ნაციონალიზმის გამოყენება ძალიან ადვილია. განათლების მინისტრის წინააღმდეგ კამპანია მის მინისტრობამდე დაიწყო ერთადერთი მიზეზით - იგი იყო სოროსის ფონდის თავმჯდომარე და ამიტომ ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების სიმბოლოდ მიაჩნიათ. ის კი არ იციან, რომ ღია საზოგადოება ჯორჯ სოროსის კი არა, იესო ქრისტეს იდეაა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, იმას, რაც ამ სტუდენტებს მართლმადიდებლობად მიაჩნიათ, არაფერი აქვს საერთო მართლმადიდებლობასთან.

ერთ-ერთი სტუდენტი ასეთ რამესაც კი ამბობდა, რომ, რაც არ უნდა ილოცოს მაჰმადიანმა, რამდენად კარგადაც არ უნდა იქცეოდეს იგი, სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებს.

ბასილ კობახიძე: 90-იანი წლების დასაწყისში ეს ასე არ იყო, მაგრამ ახლა, სამწუხაროდ, რელიგიური ნაციონალიზმი ახალგაზრდობაშიც დამკვიდრდა, რადგან ბევრი მოძღვარი მათ სწორედ ასეთ მსოფლმხედველობას სთავაზობს. სწორედ ეკლესიაა სტიმული ამგვარი ნაციონალიზმისა. შესაძლოა, მალე აქაც იგივე მოხდეს, რაც უკრაინაში. რის წინააღმდეგ გამოდიოდნენ უკრაინაში ცოტა ხნის წინ ჯვრებითა და ხატებით? ნატოში გაწევრიანების წინააღმდეგ. როდესაც საპატრიარქოს გაზეთი აცხადებს, რომ ანტიქრისტეს სახელი ვიცით, რომ ეს არის აშშ-ს ყოფილი ელჩი გაეროში, რიჩარდ ოლბრუკი და ამაზე რეაგირება არ ხდება, ეს უკვე სასაცილო აღარ არის. ამაზე დუმილს ამჯობინებენ ჩვენი ქვეყნის ის პოლიტიკოსებიც კი, ვინც დემოკრატიული ღირებულებების გზაზე დგას. საზოგადოების დუმილი ნამდვილად არ მიგვიყვანს სასურველ შედეგამდე.

ლევან ბერძენიშვილი: არ შემიძლია მამა ბასილს არ დავეთანხმო, რადგან რეალურად ის, რაც ახლა ხდება, სულ მალე მიგვიყვანს იმ შედეგებამდე, რაზეც იყო ლაპარაკი. ის ძალები, რომლებიც ახლა პატარა ამოცანას წყვეტენ – უნივერსიტეტში

გაიყვანონ თავისთვის სასურველი რექტორი, თანაც იმ ვითარებაში, როდესაც უნივერსიტეტში დასახელებული რექტორების არცერთი კანდიდატის გამარჯვება არ ნიშნავს დემოკრატიის გამარჯვებას, შემდეგ სხვა ამოცანების გადაწყვეტასაც მოინდომებენ. ჩვენ სულ მალე მივიღებთ პოლიტიკურ პასუხს კითხვაზე, თუ სად მიდის ქვეყანა. ბევრს ჰგონია, რომ დასავლური არჩევანი ერთხელ და სამუდამოდ გავიჯეთეთ, მაგრამ ეს ასე არ არის. ეს პოლიტიკური ელიტის გადაწყვეტილება იყო, და არა ქართველი ხალხის გათავისებული გადაწყვეტილება. სწორედ ამიტომ, გრძნობს რა ქართველი ხალხის რყევას ამ საკითხთან დაკავშირებით, ბევრი პოლიტიკოსი რელიგიურ თემას ეთამაშება. მე ვიცნობ პოლიტიკოსებს, რომელთაც არასდროს არ სწამდათ ღმერთი, მაგრამ ხატების რაოდენობით ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე ყველას სჯობნიან. ახლა მართლმადიდებლობა იმდენად მოდურია, რომ ქართულ დისკურსში მნიშვნელოვანი გახდა არა კანონებზე, არამედ „უფრო მაღალზე" თავად ღმერთზე აპელირება, უფრო სწორად კი „ქართველ ღმერთზე". საზოგადოებას აზროვნებისა ეშინია. აზროვნების უკან კი დგას ზუსტი პასუხი კითხვაზე, რატომ არ მაქვს წყალი მთაწმინდაზე. იმიტომ, რომ ცუდად ვმუშაობათ, იმიტომ, რომ გაუნათლებლები ვართ, იმიტომ, რომ არ ვიცით, როგორ გავიყვანოთ წყალი, იმიტომ, რომ ქრთამის აღებას დიდი ნიჭიერება არ სჭირდება, იმიტომ, რომ მარტივი პოლიტიკური გათვლა – არიქა, ახლა მოდაშია მართლმადიდებლობა და მოდი მეც მართლმადიდებელი ვიქნები, ან ახლა მოდაშია რეფორმის წინააღმდეგ ხმის ამოღება და მოდი მეც ამოვიღებ – კარგი რამ სულაც არ არის. საქართველოს სახელმწიფო ფუძნდება დღეს და აი ახლა. ხალხს ნუ ვეუბნებით წინასწარ, რომ უკვე ნატოში ვართ. ხალხი შინაგანად, როგორც ჩანს, ჯერ ნატოში არ არის. გულწრფელად არ ვარ დარწმუნებული, რომ თუ კარგად ავხსნით, რას ნიშნავს ნატოში ყოფნა, იგი საერთო სახალხო არჩევანი გახდება. სიმართლეს თვალებში უნდა შევხედოთ. მე, მაგალითად, არასოდეს გამიგია ჩვენი ეკლესიის მესვეურებისაგან, რომ მათ მოსწონთ ჩვენი დასავლური არჩევანი, მე მათგან არასოდეს გამიგია სიტყვა „ნატო". ჩვენსა და ევროპელებს შორის ეს სხვაობაა: ჩვენ,

ვინც არაფერი არ ვიცით, გვგონია, რომ ყველაფერი ვიცით, და მათ, ვინც ბევრი იცის, ჰგონიათ, რომ არაფერი იციან. თუ ოდესმე ქართველი სოკრატე დაიბადება, ის იტყვის, რომ ჩვენი პრობლემა სწორედ ის არის, რომ საკმარისი ცოდნა არ გვაქვს. დღეს ერთი რამ არის სრულიად ნათელი: გავა განათლების რეფორმა? ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გვაქვს უფლება, ერთმანეთს დავეკითხოთ, გვინდა თუ არა დასავლური არჩევანი. არ გავა და, იცით, ფუნდამენტური ქვეყნებიც არსებობენ ჩვენს გვერდით, ჩვენ არც პირველები ვიქნებით და არც უკანასკნელები. საქართველო, საბერძნეთისგან განსხვავებით, არ არის ევროპული ცივილიზაციის აკვანი და არავინ არ იდარდებს, რომ მაინცდამაინც ნატოში „შეგვათრიოს", კაი გვაჭამოს და კაი გვასვას, თუ ეს ჩვენი სურვილიც არ იქნება. რითაც დავიწყე იმით დავამთავრებ, მთაწმინდაზე ისევ არ იქნება წყალი და ისევ იტყვიან, რომ ეს არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი.

სერგო რატიანი: საინტერესოა, რომ საბჭოთა განათლების სისტემას უცნაური რამ დაემატა – ბოლო წლების „რელიგიური განათლება" - ეს რაღაც ერთობ უცნაური მუტაციაა. საქმე იქამდისაც კი მიდის, რომ საეკლესიო პირების დისკურსშიც კი გაჩნდა კომუნისტური ფრაზეოლოგია - „დასავლელი კაპიტალისტებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ გახსნილი ფრონტი". ის წარსული, რომელშიც ჩვენ ვიყავით, გარკვეულწილად განაპირობებს იმას, რაშიც დღეს ჩვენ ვართ. რაღაც წინააღმდეგობები შესაძლებელია, რომ გადაილახოს, მაგრამ მე საშიშროებას მაინც ვხედავ. საქართველოში ჯერ-ჯერობით არ არსებობს თავისთავად ჩამოყალიბებული საზოგადოება, რომელსაც ძალა შესწევს საკუთარ პრობლემებს თავად მოუაროს და ამით საკმაოდ მოხერხებულად შეიძლება ისარგებლონ მეზობელმა ქვეყნებმა, რომელთაც აქ საკუთარი ინტერესები აქვთ. და კიდევ ერთი მომენტი: საქართველოში გაჩნდა ძალიან საინტერესო ალიანსი რადიკალურად განწყობილ დაჯგუფებებსა და ჩვენს მემარჯვენეებს შორის, რომლებსაც აქვთ ფული. აი ფული და ფანატიზმი ერთად - ეს უკვე სულ სხვა რამეა. ყველამ ვიცით, რაც ქნა რუსეთში გერმანულმა ფულმა და ლენინის კომუნისტურმა იდეამ.

ბასილ კობახიძე: ახალგაზრდების საკითხზე ბევრთან მისაუბრია, არა მხოლოდ სტუდენტებთან, არამედ ჟურნალისტებთანაც. ის ადამიანიც კი, რომელიც ამას აგრესიულად არ გამოხატავს, ისიც რელიგიური ნაციონალისტია და გულწრფელად სჯერა, რომ ჩვენ, ქართველები, განსაკუთრებული მართლმადიდებლები ვართ. აი თუნდაც პირველი არხის ის გადაცემა, რომელსაც იუნესკოს გრანტით ქალბატონი გიული ალასანია აწყობს – სვეტიცხოველის ეზოში სხედან ჩვენი პროფესორები, სასულიერო პირები და მიდის საუბარი, რომელიც მთლიანად რელიგიურ ნაციონალიზმსა და ამგვარ მითოლოგიაზეა დაფუძნებული, თანაც სახელმწიფო და საეკლესიო დროშები გარშემო ისე ფრიალებს, რომ გეგონება, ესპანეთის ინკვიზიციის სასამართლოა და ახლა ვიღაცას შემოათრევენ წვეტიანი ჩაჩით. ნაციონალიზმი და რელიგია შეიძლება იყოს ერთად, თუ ორივე მათგანის შინაარსი გაუკუღმართებული არ იქნება. სულ ორიოდე წლის წინათ, საფრანგეთში, დემოკრატიის ამ ერთ-ერთ აკვანში, მოდიოდა ჟან მარი ლე პენი, რომელიც ოსტატურად მანიპულირებდა სწორედ ნაციონალურ-რელიგიური მომენტებით, კათოლიციზმით, ჟანა დ'არკით და ა.შ. იცით, რომ ბოლოს კანდიდატებად ლე პენი და შირაკი დარჩნენ. მე მაშინ იქ ვიყავი და კარგად მახსოვს, რომ ლე პენის რეიტინგის დაცემაში დიდი როლი საფრანგეთის კათოლიკურმა ეკლესიამ შეასრულა. ეპისკოპოსები გამოდიოდნენ ტელევიზიით, აქტიურად იცავდნენ დემოკრატიულ ღირებულებებს და ლე პენს ქრისტიანობის სახელით სპეკულირების უფლებას ართმევდნენ. აქ რომ ქართველი ლე პენის სათავეში მოსვლის საშიშროება შეიქმნას, ჩვენი ეპისკოპოსები საპირისპიროს გააკეთებენ.

საკმაოდ მძიმე პერსპექტივები დახატეთ...

გიგა ზედანია: ფაკულტეტზე, სადაც მე ვასწავლი, ძალიან აქტიურად მიმდინარეობს რეფორმები. როდესაც კურსების არჩევითობა შემოვიტანეთ, პირველი პერიოდის განმავლობაში სტუდენტები პროტესტს გამოთქვამდნენ და ამბობდნენ, რომ ის დრო ერჩიათ, როდესაც ყველა კურსი სავალდებულო იყო, რადგან ზუსტად იცოდნენ, სად უნდა შესულიყვნენ. ახლა ისინი ისე შეეჩვივნენ ამ

სისტემას, დარწმუნებული ვარ, რომ შემდეგ სემესტრში ვერც კი დაუშვებენ, რომ ვინმემ თავზე კურსი მოახვიოს. მე ვფიქრობ, სტუდენტთა უმრავლესობამ არ იცის, რა არის თავისუფლება, რა არის სწავლის თავისუფლება, რას ნიშნავს, როდესაც შეგიძლია აირჩიო ლექცია, აირჩიო ლექტორი, შეიცვალო უნივერსიტეტი. როცა ისინი ამას გემოს გაუგებენ, ღრმად ვარ დარწმუნებული, მათგან უმრავლესობა კბილებით დაიცავს ამ უფლებებს და მათ თავისუფლებას. სანამ ეს მოხდება, მანამდეა აუცილებელი, რომ ჩვენ საქმე იქამდე მივიყვანოთ, თორემ ეს რომ მოხდება, მერე ყველაფერი კარგად იქნება.

ლევან ბერძენიშვილი: ბატონი გიგას საუბრის შემდეგ მე ჩემს ბუნებრივ ფაზაში გადასვლა არ მიჭირს იმიტომ, რომ მე ოპტიმისტი ვარ. ძალიან ბევრს ჰგონია, რომ ეს ოპტიმიზმი ჩემი ავადმყოფობაა, მაგრამ, უბრალოდ, ვერ წარმომიდგენია, რომ დემოკრატიული იდეა, რომელიც ქართველებში დაიბადა, შემთხვევით იყოს გაჩენილი. ამიტომ ეს არის ბრძოლის საგანი და გამარჯვების შანსი, რა თქმა უნდა, არსებობს. გიგასი იმიტომ მჯერა, რომ ის ახალგაზრდაა და თანაც ერთ-ერთი ყველაზე ჭკვიანი ახალგაზრდა საქართველოში. რადგან ის ამბობს, რომ ახალგაზრდებში ამის პოტენციალი არის, მე მჯერა, ოღონდ საქმე ისაა, ვინ არის აქტიური. აქტიურები არიან ბნელები. ახლავე დავასახელებ უნივერსიტეტიდან რექტორობის ოც კანდიდატურას, რომელიც ყველა წარმოდგენილს აჯობებს, მაგრამ ამ ხალხმა არ ისურვა ბრძოლა. საზოგადოებაში პასუხისმგებლობის გრძნობა თუ გავაჩინეთ, მაშინ მებრძოლი დემოკრატებიც გამოჩნდებიან. სამწუხაროდ, ქართველები დიდოსტატები არიან, იუნესკოს ფულით რაღაც ანტიევროპული, ანტიმსოფლიო, ქართულ-მასონური გადაცემები მოაწყონ. იმ გადაცემაში აბსოლუტურად არ არის არანაირი კითხვა, იქ არის მხოლოდ პასუხები, იქ არ არის ფილოსოფია, იქ არის მხოლოდ ისტორია, ისიც ისტორია ქართული წარმოდგენებით. ლევ ტოლსტოი უნდა დავიმოწმო და უნდა ვთქვა, რომ კარგ ადამიანებს უჭირთ გაერთიანება, სამაგიეროდ, ცუდები ადვილად ერთიანდებიან, რაც მოხდა კიდეც ჩვენს თვალწინ უნივერსიტეტში. არ მომწონს არც ერთი მხარე, ორივე

ანგაჟირებულია, ორივეს მხარეს ვხედავ პოლიტიკასაც და ფულსაც, ნამდვილი სტუდენტობა კი, ვინც ხმა უნდა ამოიღოს, დუმს. მართალია გიგა, ჯერ თავისუფლების გემო არა აქვთ გაგებული. მაგრამ ეს დროც მოვა. ქართველების ერთადერთი ძალა ის არის, რომ ქართველი ლე პენი არ გამოჩნდა. გურამ შარაძემ ვერ „გაქაჩა", რადგან, როგორც ჩანს, „კაგებეს" წარსული ადვილი წარსული არ არის. ახლებიდან რაღაც ვერ ვხედავთ ამ ძალებს. იმასაც ნუ დაიჯერებთ, რომ მათ იმდენი ფული ჰქონდეთ, საქართველოს ხელისუფლებას რამე პრობლემა შეუქმნან. რაც მთავარია, მე არ მჯერა, რომ ვინმეს ფაშიზმი უნდოდეს საქართველოში, გარდა საკუთრივ ფუნდამენტურად განწყობილი ადამიანებისა და იმ სახელმწიფოებისა, რომელიც ჩვენს ირგვლივაა. აი მათი ფული კი ამ საქმეში შესაძლებელია მართლაც იდოს. ქართველ ფუნდამენტალისტთა ერთ-ერთი გაერთიანება, რომ „ლუკოილის" ოფისშია, ვიცი. აქედან დასკვნებს საზოგადოება თავად აკეთებს. მაგრამ, თუ საქართველოში ფაშიზმის საფუძველი არ იქნება, რამდენი ფულიც არ უნდა შემოვიდეს, ვერაფერს იზამენ. ფული სხვებსაც აქვთ. სოროსმა ბევრი გააკეთა საქართველოში ღია საზოგადოების განვითარებისათვის და ამ რესურსს ალბათ ახლა გამოვიყენებთ იმიტომ, რომ დაღგება მომენტი, როდესაც რევოლუცია დარბაზში შესვლით კი არ მოხდება, არამედ, სადღაც რომელიღაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ეთერში გადაწყდება მისი ბედი.

ამ დისკუსიის ჩაწერიდან ათი თვე გავიდა. საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი უმაღლესი განათლების შესახებაც და ზოგადი განათლების შესახებაც. უნივერსიტეტის იმ სტუდენტებმაც და იმ პროფესორებმაც, რომლებიც ყველაზე მეტს ყვიროდნენ, მთავრობის მიერ შეთავაზებული რექტორის კანდიდატურა, ქალბატონი რუსუდან ლორთქიფანიძე დიდი პატივით მიიღეს. ახლა სტუდენტების ამ ნაწილის ხმა აღარ ისმის, მაგრამ ამით იმის თქმა, რომ ქვეყანაში ფაშისტურმა იდეოლოგიამ ძალა სრულიად დაკარგა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. პირიქით, ნაციონალურ-სამხედრო-რელიგიური იდეოლოგიის გამოყენება ახლა დროდადრო მთავრობამაც დაიწყო, როგორც რეიტინგის ამაღლების ერთ-ერთი

ეფექტური ხერხი. ამის უკანასკნელი აშკარა მაგალითი 11 სექტემბერს სპორტის სასახლეში მოწყობილი ბანაკ „პატრიოტის" ფორუმი გახლდათ, სადაც თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ მას ამას წინათ აფხაზურ მიწაზე ყოფნისას დაუფიცია, რომ მეორედ თავისუფალ აფხაზეთში შევა და რომ ამის გარანტი დარბაზში შეკრებილი ჯარისკაცები (!) არიან, რომლებიც არაფრის წინაშე არ შელრკებიან. შემდეგ დარბაზში მყოფ მოსწავლეებს საქართველოს პატრიარქმა მიმართა იმ სიტყვებით, რა სიტყვებითაც ერეკლე მეორე მიმართავდა ხოლმე ჯარს ომში წასვლის წინ. არადა, მეორე მხრივ, რამდენადაც ვიცი, ბანაკ „პატრიოტში", რომელიც ევროპულ-ამერიკულ „ბოისკაუტურ" ყაიდაზე იყო მოწყობილი, აფხაზი და ოსი ეროვნების მოსწავლეებიც მიჰყავდათ ლიდერებად, რათა ახალგაზრდები ერთმანეთს დაახლოებოდნენ და დამეგობრებოდნენ, რათა მომავალ თაობებს შორის მაინც გამქრალიყო ურთიერთგაუცხოება და შიში. ფორმუმზე კი აღმოჩნდა, რომ „იუგენდარმია" შეგვიქმნია, რომელმაც აფხაზეთი და ოსეთი უნდა გაათავისუფლოს. ის, რომ ჯერ ჩვენს ქვეყანას კარგად არ გაუცნობიერებია, როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს კურსი, გორის ტრასაზე გამოფენილი ხუთჯვრიანი დროშის დიდი პლაკატიც მიუთითებს, რომელსაც ქვეშ აწერია: ამ დროშით ჩვენ შევალთ ცხინვალში... ალბათ, უკვე დრო, სახელმწიფომ ცალსახად იცოდეს, ცხინვალში დროშით.. და ტანკებით უნდა შევიდეთ, თუ ოსი ხალხი უბრალოდ უნდა შემოვირიგოთ.

ნინო ცინცაძე დაიბადა 1971 წლის 19 ნოემბერს. 1994 წელს დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი, კლასიკური ფილოლოგიის განხრით. იმავე წლიდან მუშაობს თსუ კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე, რომელიც მოგვიანებით კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტად გადაკეთდა. 1999-2002 წლებში სხვადასხვა დროს იმყოფებოდა ქ. გიოტინგენის უნივერსიტეტში გერმანიის ევანგელური ეკლესიის სტიპენდიით. 2004 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „დრო და სივრცე ჰომეროსის „ოდისეაში". 2002 წლის ივნისიდან 2004 წლის დეკემბრამდე იყო გაზეთ "24 საათის" ჟურნალისტი. 2003 წლის ნოემბრიდან „სამოქალაქო საბჭოს" წევრია. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი: ანდრო (1996), ნიკა (2003) და ირაკლი (2005).

ნინო ცინცაძე დაიბადა 1971 წლის 19 ნოემბერს. 1994 წელს დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი, კლასიკური ფილოლოგიის განხრით. იმავე წლიდან მუშაობს თსუ კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე, რომელიც მოგვიანებით კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეკისტიკის ინსტიტუტად გადაკეთდა. 1999-2002 წლებში სხვადასხვა დროს იმყოფებოდა ქ. გიოტინგენის უნივერსიტეტში გერმანიის ევანგელური ეკლესიის სტიპენდიით. 2004 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „დრო და სივრცე ჰომეროსის „ოდისეაში". 2002 წლის ივნისიდან 2004 წლის დეკემბრამდე იყო გაზეთ "24 საათის" ჟურნალისტი. ამჟამად სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის პერიოდული გამოცემის "სოლიდარობის" რედაქტორია. 2003 წლის ნოემბრიდან „სამოქალაქო საბჭოს" წევრია. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი: ანდრო (1996), ნიკა (2003) და ირაკლი (2005).